საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 107 (651) | სამშაბათი, 25 მაისი, 1993 წელი. | ფასი 10 კუპონი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრეს-ცენტრიდან გვაცნობენ, რომ 23 მაისს მდინარე გუმისთაზე გამავალ ფრონტის ხაზზე ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული, მაგრამ მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმებისა, დაახლოებით 22 საათსა და 30 წუთზე სოფელ ცუგურაუკასთან მოწინააღმდეგემ სცადა გაერღვია ქართული პოზიციები და იერიში მიეტანა მასზე.

ქართველი მეომრები ამ პროვოკაციას მზად დახვდნენ და საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს მოწინააღმდეგეს. ორმხრივმა სროლამ დაახლოებით საათნახევარს გასტანა. მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა 23 საათზე, ადგილი ჰქონდა ორმხრივ სროლებს და შეტაკებებს, ასევე, ოჩამჩირის რაიონის სოფელ კინდღა-ტამიშის მონაკვეთზე, მაგრამ აქაც მოწინააღმდეგის აქტიურობა ალკვეთილ იქნა. ამის შემდეგ ღამემ, როგორც მდინარე გუმისთაზე, ასევე, ოჩამჩირის რაიონში შედარებით მშვიდად ჩაიარა.

23 მაისს ქ. სოხუმში ჩამოფრინდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილი თანმხლებ პირებთან ერთად.

იმავდროულად გუდაუთიდან სოხუმს ჩამოფრინდნენ გაეროს წარმომადგენლები ედუარდ ბრუნერის მეთაურობით.

მათ სოხუმის აეროპორტში შეხვედრა ჰქონდათ გია ყარყარაშვილთან და აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს წევრებთან.

23 მაისს გია ყარყარაშვილი, ედუარდ ბრუნერი თანმხლებ პირებთან ერთად თბილისს გამოფრინდნენ.

იოსებ ბობეჩია.

* * *

21 მაისს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დაკავებულ იქნა რუსეთის მოქალაქე, რომელიც 2 თვის წინ ჩამოვიდა აფხაზეთის რეგიონში, „რათა მონაწილეობა მიეღო ბრძოლებში აფხაზთა მხარეზე. როგორც დაკავებულმა განაცხადა, გუდაუთის დაჯგუფების შემადგენლობაში შედის სლავური ბატალიონი, კაზაკთა ბატალიონი, კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ბატალიონი და სომხური ბატალიონი. თავისი რიცხობრივი შემადგენლობით ეს ფორმირებები, ფაქტიურად ბატალიონებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ამის მიუხედავად, მათ მაინც ბატალიონების სახელწოდებით იხსენიებენ.

* * *

1 ივლისიდან თურქეთ-საქართველოს საზღვრის ახალციხის მონაკვეთზე დაიწყება რუსეთის არმიის მესაზღვრეების ქართველებით შეცვლა, რაც წლის ბოლომდე გაგრძელდება.

●

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს, რომ თბილისში, ზესტაფონის ქუჩაზე, დაუდგენელმა პირებმა ავტომატებით დაცხრილეს იხნის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის ბორის ივანოვის სახამსახურო ავტომანქანა. საბედნიეროდ, მანქანაში არავინ არ იმყოფებოდა. ჩაიმსხვრა ავტომანქანის მინები.

მიმდინარეობს გამოძიება.

ამ დღეებში

გავაცხოვინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი
მოვლენა
კომენტარი

ფოტო. „26 მაისი — თავისუფლება". ელგუჯა ამაშუკელის ქანდაკება.

მედგრად! გრძნობამ წინ რომ გაიწიოს,
მეშინის ვისი, მეკრძალვის რანი?
ამ ნანგრევებთან მშობლიურ სიოს
მარად ვუპოვით უქკნობელ მანის!

გალაკტიონ ტაბიძე.

აშშ-ის სალაჩო, 1993 წლის 21 მაისი

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს

თბილისი

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

პრეზიდენტმა კლინტონმა მთხოვა გადმომეცა თქვენთვის თანდართული ბარათი.

ამასთანავე ვსარგებლობ შემთხვევით, რათა მივულოცო ქართველ ხალხს და საქართველოს რესპუბლიკას და გისურვოთ, რომ მომავალში უფრო მშვიდობიან და ბედნიერ ატმოსფეროში შეძლოს საქართველომ თავისი ეროვნული დღესასწაულის აღნიშვნა.

პატივისცემით
კენტ ნ. ბრაუნი,
ელჩი.

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

გილოცავთ თქვენ და ქართველ ხალხს, საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს. თქვენს ერს შეუძლია იამაყოს თავისი მიღწევებით ამ ძნელბედობის ჟამს, განსაკუთრებით ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებით, რომელიც უმთავრეს ნაბიჯს წარმოადგენდა დემოკრატიზაციისა და რეფორმისკენ მიმავალ გზაზე. ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავა და მოუთმენლად ველით მათ შემდგომ გაუმჯობესებას მომავალში.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს.
პატივისცემით

უილიამ. ჯ. კლინტონი.

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

თბილისი

თქვენო აღმატებულებავ,

ჩინელი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელად გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ დღესასწაულს — დამოუკიდებლობის დღეს.

ვუსურვებ თქვენს ქვეყანას სტაბილურობას, ეკონომიკის განვითარებას, თქვენს ხალხს კი — ბედნიერებას, გამოვთქვამ აგრეთვე სურვილს, რომ განუხრელად განვითარდეს ჩინეთისა და საქართველოს მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე
ძიან ძემინი.

პეკინი, 1993 წლის 21 მაისი.

თბილისი

მის აღმატებულებას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს — პარლამენტის თავმჯდომარეს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ეროვნულ დღესასწაულთან — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღესთან დაკავშირებით მიიღეთ ჩემი უველაზე გულწრფელი მილოცვა.

გამოვთქვამ მტკიცე რწმენას, რომ ჩვენი ხალხების ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ურთიერთსიმპათიის, ნდობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ტრადიციული გრძნობა თავის განვითარებას პოვებს ჩვენი ქვეყნების საკეთილდღეოდ, კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთაც მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის მეგობარ ხალხს ვუსურვებ მშვიდობას, აყვავებასა და კეთილდღეობას.

ბორის ელცინი,
1993 წლის 24 მაისი.

ედუარდ შევარდნაძე: ვიღაცას ძალიან სურს დესტაბილიზაციის ტალღა ააგოროს, ხალხი კი დაიღალა და წესრიგს მოითხოვს, რომ შვებით მაინც ამოისუნთქოს

— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენლის ედუარდ ბრუნერის და რუსეთის პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის ბორის პასტუხოვის ვიზიტები აფხაზეთში ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო იყო, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს რადიოს კომენტატორ ნატო ონიანთან გამართულ თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში. — პასტუხოვს შეხვედრები ჰქონდა სოხუმში, და მისი პროგრამა საკმაოდ დატვირთული იყო. მან ასევე საუბრები გაიმართა გუდაუთის ხელმძღვანელობასთანაც, როგორც ვიცი, მისი იქაური დიალოგიც საკმაოდ კონკრეტული იყო და ბევრი რამ გაარკვია. რაც შეეხება გაეროს მისიას, ახეთი მაღალი დონის და ახეთი დიდი რწმუნებების მისია ჩვენთან პირველად არის ჩამოსული და, როგორც ჩემი კოლეგების მოხსენებებიდან ვიცი, სოხუმშიც და გუდაუთაშიც მას ძალიან სასარგებლო შეხვედრები ჰქონდა, თუმცა რაიმე შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. ზვალ მე შევხვდები ამ დელეგაციას და ვიქნება კონკრეტული საუბარი, — ოქვა ედუარდ შევარდნაძემ და დასძინა, რომ, — სამწუხაროდ, აფხაზეთის ირგვლივ დაწყებულ ამ საუბრებისადმი მაინც არსებობს გარკვეული სკეპტიციზმი, რადგან, ადრე გამართული საუბრები და შეთანხმებები მაინცდამაინც ვერ იძლევა ოპტიმიზმის საბაბს. მაგრამ, საბედნიეროდ, მაშინდელისაგან განსხვავებით ახლა უკვე სხვა პირობებია და პირველ რიგში, ეს ეხება გაეროს მისიის ჩართვას ამ პროცესში.

საერთოდაც, უკეთესი ატმოსფეროა შექმნილი კონფლიქტების მოგვარებისათვის კავკასიაში, და მე მგონი, ეს ფაქტორებიც იმუშავებენ, — ოქვა მან, — ამასთან, რუსეთის პრეზიდენტიც უფრო აქტიურად არის გაწყობილი იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს კონფლიქტის მშვიდობიანად დამთავრებას, ეს გასაგებიც არის, — განაგრძო ედუარდ შევარდნაძემ, — რადგან უკვე ყველამ კარგად ვიცით, რომ, თუ კონფლიქტი კარგად არ დამთავრდა, მაშინ იგი უფრო საშიშ ხასიათს და მეტ მასშტაბებსაც მიიღებს. ამიტომ, ბუნებრივია, ყველა უნდა ცდილობდეს ახლახან დაწყებული ამ პროცესის გაღრმავებას.

სამწუხაროდ, წუხელ იყო შემაშფოთებელი ფაქტი გუმისთის რაიონშიც, ოჩამჩირის რაიონშიც, დაირღვა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, მაგრამ იგი სანგრძლივი არ ყოფილა; იყო შეტაკებები, მაგრამ დროზე მოხდა მათი ლოკალიზება, ამიტომ, ახლა არ მინდა რაიმე ბრალდებები წავუყენო მეორე მხარეს, მაგრამ ერთი რამ კი უნდა ითქვას, რომ თუ ახლა არ გამოვიჩინეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, შეიძლება ყოველივე ძალიან ძვირი დაგვიჯდეს. თუკი ახლაც ახეთ შეცდომებს დაუშვებენ მხარეები, მათი გამოსწორება შემდგომში ძალიან ძვირი დაგვიჯდება.

მე ერთი კონკრეტული მოსაზრება მაქვს, და მინდა გუდაუთის ხელმძღვანელობას შევთავაზო, — ოქვა სახელმწიფოს მეთაურმა, — ჩვენ შევწყვიტეთ ცეცხლი, მაგრამ, ვფიქრობ, ხომ უნდა ვიცოდეთ, სანამდე უნდა გაგრძელდეს. ეს, რა შემდგომი ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ და რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ. აი, ამის თაობაზე უნდა მოვეთათბიროთ გაეროს, სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს, მათ შორის რუსეთის ხელმძღვანელობას და ა. შ. მე ვფიქრობ, რომ რაღაც დრო არის საჭირო ამ სამშვიდობო ინიციატივისათვის და ეს დრო უნდა განისაზღვროს. ამაზე უკვე იყო ლაპარაკი სოხუმში, და, ვფიქრობ, საჭიროა გამოცხადდეს და დაწესდეს სამშვიდობო პაუზა, ვფიქრობ, როგორც მინიმუმი ერთი თვით მაინც, [illegible] სამშვიდობო ინიციატივის შესახებ აზრები [illegible] ერთმანეთს და რაღაც გარკვეულ შეთანხმებამდე მივიდეთ, თუ როგორი იქნება, ვფიქრობ, კონფლიქტის მოგვარების და მოწესრიგების პირველი ეტაპი და შემდეგ მისი საბოლოო პერიოდიც. თუ ამას გუდაუთის მხარე მიიღებს, ჩვენ შევძლებთ უფრო ინტენსიურად ვიმუშაოთ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამ სამშვიდობო პაუზას უნდა მოჰყვეს. პაუზა კი იმისათვის არის საჭირო, რომ ყველას ყურადღება კონცენტრირებული იყოს, სწორედ იმ საკითხებზე, რომლებიც ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ ნაბიჯებს უნდა მოჰყვეს.

მე ასე თუ ისე, ვიცნობ კონფლიქტების ისტორიას და ჩვენც არა ვართ გამონაკლისი, იმაში, რომ არც ჩვენთან აძლევს ხელს ბევრს ომის დამთავრება, მისი შედეგების ლიკვიდაციაზე ფიქრი და ზრუნვა. მოგეხსენებათ, ასეთი კონფლიქტების და ომების დროს მთელი კლანები წარმოიქმნება ხოლმე, რომლებიც სხვის უბედურებაზე კარგად ითბობენ ხელს. ასეთი რამ, ვიმეორებ, ალბათ ამ კონფლიქტისთვისაც არის დამახასიათებელი, მაგრამ სამშვიდობო. სალი ძალები, ჩემი აზრით, აქ ბევრად მეტია, პირველ რიგში, მე მხედველობაში მყავს სოხუმის საზოგადოება და მისი განწყობილება. როგორც კი სოხუმში ცეცხლი შეწყდა, ორი-სამი დღე სიმშვიდემ დაისადგურა, ხალხი ქუჩაში გამოვიდა და, როგორც მითხრეს, მთელი სანაპირო ხალხით იყო სავსე. მაგრამ მათი მზერა მაინც ცისკენ იყო მიპყრობილი, ეშინოდათ, ხომ არ დაბრუნდებიან კვლავ მფრინავები და ბომბებს. ასეთი განწყობაა იქ, მათ სურთ, რომ სისხლისღვრა შეწყდეს და მე მგონი, ზოგიერთი ელემენტი თუ ზოგიერთი წრე, რომლებსაც სხვადასხვა მოსაზრებით ომის გაგრძელება ხელს აძლევს, ცუდ ამინდს აქ უკვე ვეღარ შექმნიან, — თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

24 მაისის რადიოინტერვიუ

კავკასიის რეგიონში კონფლიქტების მოგვარების ფაქტორებზე საუბრისას, სახელმწიფოს მეთაური კვლავ დაუბრუნდა „კავკასიის ფაქტორს", რომლის შესახებაც წინა რადიოინტერვიუებში ჰქონდა საუბარი. როცა კავკასიის ფაქტორზე ვლაპარაკობ, — თქვა მან, — პირველ რიგში, მე ვგულისხმობ საქართველოს, რომელიც თანდათანობით გაძლიერდება და თავის მნიშვნელობას შეიძენს. როცა ჩვენ შევძლებთ და ქვეყანაში შევარბილებთ შინაგან დაძაბულობას, ჩვენ მოგვეცემა საშუალება, უფრო მნიშვნელოვანი როლი შევასრულოთ კავკასიაში, ჩვენს რეგიონში, და სხვაგანაც. ჩვენი მდგომარეობა საკმაოდ უნიკალურია, ყველასთან კარგი ურთიერთობა გვაქვს; ერთადერთი სუსტი ადგილი ის არის, რომ ჯერჯერობით ურთიერთობებს სამართლებრივი ბაზა ვერ მოვუმზადეთ რუსეთთან და გარკვეულად ეს, ცხადია, ბოჭავს ჩვენს ინიციატივას, მაგრამ მინდა, გამოვთქვა იმედი და რწმენა, რომ ყველაფერი მოგვარდება და ჩვენ ხელს მოვაწერთ რუსეთთან ამ სამართლებრივ ხელშეკრულებებს. თუ ეს შედგება, მაშინ მართლაც განსაკუთრებულ მდგომარეობას დაიკავებს ჩვენი ქვეყანა და იგი შეძლებს ბევრი სასარგებლო რამ გააკეთოს მეზობლებისთვისაც და სხვა ქვეყნებისთვისაც. ასე რომ, ის რეგიონალური თუ ფართო მასშტაბის პოლიტიკა, რომელიც ჩვენთან ჩამოყალიბდა, იმედებს ამართლებს და მისი შედეგებიც ჩანს.

რადიოკომენტატორის შეკითხვაზე, თუ რამდენად სასარგებლოა ის ანალოგიები, რომლებსაც ზოგჯერ 1918 წლის მოვლენებსა და ამჟამად მიმდინარე პროცესებს შორის ავლებენ, ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ შესაძლოა ასეთი ანალოგიები და დასკვნების გამოტანა სასარგებლო იყოს, მაგრამ იმ პირობებისაგან, რომლებიც მაშინდელ საქართველოში იყო, დღევანდელი საქართველოს სრულიად განსხვავებულია. დღეს ჩვენი ქვეყნის გარემომცველი სამყარო ხელს უწყობს საქართველოს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ, როცა, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიყავით ლეგიტიმური ხელისუფლება და ბევრი რამ სადავო და საკამათო იყო, მთელმა მსოფლიომ მაინც აღიარა საქართველო და ამით მხარი დაუჭირა იმ პროცესებს, რომელთა თაობაზეც ჩვენ წინასწარ განვაცხადეთ. ვგულისხმობ ჩვენი დემოკრატიული განვითარების გზას. ახლაც ასეა: ის სოლიდარობა და მატერიალური, პოლიტიკური თუ ფინანსური მხარდაჭერა რომ არ გვქონოდა, რომლებსაც ახლა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ევროპული სტრუქტურები გვიწევენ, ჩვენ პრაქტიკულად, ალბათ, სრულ შიმშილობას თავს ვერ დავაღწევთ. ახლა იმაზე ფიქრი და ლაპარაკი, თითქოს რომელიმე ქვეყანას შეუძლია მოახდინოს საქართველოს ანექსია, გამორიცხულია; მაგრამ თუკი ჩვენ მაინც დავმარცხდებით, მაშინ ეს დამარცხება მხოლოდ ჩვენი ბრალი იქნება. ამიტომ, ყველაზე უფრო მეტად, რაც ჩვენ გვჭირდება, ის არის, რომ საბოლოოდ დავძლიოთ შინააშლილობის ტენდენცია, მოვაგვაროთ კონფლიქტები და დავამთავროთ ომი. გარესამყარო კი, რუსეთთან არსებული სირთულეების მიუხედავად, რომლებსაც, ეჭვი არ მეპარება, უთუოდ დავძლევთ, ვიმეორებ, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მშენებლობას. ასე რომ, ის დრო სხვა იყო, სხვა თანაფარდობა არსებობდა, დღეს კი, იმ გიგანტური და მასშტაბური ცვლილებების შედეგად, „პერესტროიკას" რომ მოჰყვა, და რომელმაც წაშალა დაპირისპირება დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, როცა გაერთიანდა ევროპა, როცა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, როცა პოლიტიკას იდეოლოგიური საფუძველი გამოეცალა და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა, შეიქმნა კარგი პირობები ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. თუ ჩვენ ამ შანსს არ გამოვიყენებთ, და ხელიდან გავუშვებთ, ეს იქნება უდიდესი დანაშაული თაობების წინაშე, მაგრამ, მე მგონი, საქმე აქამდე არ მივა, თუმცა, მოღალატეობის პრობლემა, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, ჩვენთანაც ყველა დროის საქართველოში არსებობდა. ჩვენ ისეთი ქვეყანა ვართ, სადაც, როგორც ფოკუსში, ისე იყრის თავს მრავალთა და მრავალთა ინტერესები. ბუნებრივია, ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ისინი ყოველთვის ცდილობდნენ თავისი დასაყრდენი ჰყოლოდათ ქართულ საზოგადოებაში და თუ რა ძვირი დაუჯდა ეს საქართველოს, ყველამ იცის ისტორიიდან. სამწუხაროდ, არც ახლა ვართ თავისუფალი ამ მოვლენებისაგან; გვარებს და მისამართებს არ ვასახელებ, მაგრამ ჩანს და იგრძნობა, თუ ვინ რას წარმოადგენს, ვინ ვის ინტერესებს ემსახურება. ის, ვინც სხვის ინტერესებს ემსახურება, სხვებზე მეტად დებს თავს პატრიოტობაზე და გაიძახის, თითქოს საქართველო იღუპება და გვაფრთხილებს კიდეც. სინამდვილეში კი ზოგიერთი ამ ძალის ზურგს უკან სხვა ხალხი დგას და სხვა ინტერესები იმალება. თუმცა, ცხადია, ეს არ არის დიდი და სერიოზული საფრთხე, რადგან ჩვენი საზოგადოების უმეტესობას აქვს თავისი გამოკვეთილი პოზიცია მოღალატეობის ყოველგვარი გამოვლინების მიმართ და ვფიქრობ, როგორადაც უნდა ეცადონ, ეს ცალკეული ძალები, ისინი მაინც ვერ შეძლებენ ჩვენი ქვეყნის ბედის განსაზღვრას, რადგან საქართველო უკვე რეალურად ადგას დემოკრატიისა და თავისუფლების გზას და ჩვენმა საზოგადოებამ ეს უკვე ირწმუნა. მაგრამ მაინც მოღალატეობა აბსოლუტურ მოვლენაა და ფხიზლად უნდა ვიყოთ, თუმცა, მჯერა, იგი ვერას დააკლებს იმ კურსს, რომელიც ავიღეთ.

(დასასრული მე-2 გვ.).

ნომერში

⊙ მშობელი მიწა გულში იკრავს ლირსეულ ქართველს. 2

⊙ მოქალაქეობის კანონი და ქართული ემიგრაცია. 3

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურის დამტკიცებისა და უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირების დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო აღმშენებლობის კონცეფციის პროექტის გათვალისწინებით, შეიარაღებული ძალების ერთიანი მართვის განმტკიცებისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების მიზნით:

1. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ახალი სტრუქტურა (სტრუქტურა თან ერთვის).

2. დაინიშნონ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე:

გენერალ-მაიორი **პაატა დათუაშვილი** — თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ;

გენერალ-მაიორი **ავთანდილ ცქიტიშვილი** — გენერალური შტაბის უფროსად — თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ;

გენერალ-ლეიტენანტი **ლევან შარაშენიძე** — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ საერთო და რუსეთის ფედერაციის ჯარებთან ურთიერთობის საკითხებში;

გენერალ-მაიორი **თამაზ დუმბაძე** — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ;

გენერალ-ლეიტენანტი **რობერტ თავაძე** — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ ზურგის დარგში;

პოლკოვნიკი **თამაზ ცხაკაია** — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ — შეიარაღებული ძალების ინსპექტორად;

გენერალ-ლეიტენანტი **ვანო გურგენიძე** — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ შეიარაღების დარგში;

გენერალ-მაიორი **ჯემალ ჭუმბურიძე** — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ მშენებლობისა და ჯარების განთავსების დარგში;

პოლკოვნიკი **გაიოზ გალდავაძე** — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ სამხედრო მრეწველობის დარგში;

პოლკოვნიკი **გიორგი ვაშაკიძე** — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის დარგში;

გენერალ-მაიორი **პანტელეიმონ გიორგაძე** — სასაზღვრო ჯარების სარდლად — თავდაცვის მინისტრის მოადგილედ.

გაუქმდეს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სარდლის თანამდებობა.

ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1993 წელი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში პრივატიზაციის პროცესის დროს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 14 სექტემბრის № 926 დადგენილებით შემუშავდა შესაბამისი ინსტრუქცია და გადაფასების კოეფიციენტები 1992 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით.

იმის გათვალისწინებით, რომ 1992 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ რესპუბლიკაში კვლავ გრძელდება ინფლაცია, ფასების შემდგომი ზრდა, აუცილებელი ხდება ზემოაღნიშნული კოეფიციენტების კორექტირება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საპრივატიზაციო საწარმოების ძირითად საშუალებათა აღდგენითი ღირებულება განისაზღვროს 1993 წლის 1 აპრილის მდგომარეობით.

საპრივატიზაციო საწარმოების ძირითად საშუალებათა აღდგენითი ღირებულების განსაზღვრის დროს საბალანსო ღირებულების გადაფასების კოეფიციენტები გამრავლდეს 2,4 კოეფიციენტზე, ხოლო საპრივატიზაციო კომისიას დარჩეს უფლება გამოიყენოს უფრო მაღალი კოეფიციენტები.

2. 1992 წელს შეძენილი ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ გადაფასებას, ამჟამად დაექვემდებარონ 2,4 კოეფიციენტით გადაფასებას, ხოლო 1993 წლის 1 იანვრიდან 1 აპრილამდე შეძენილ ფონდებზე გამოყენებულ იქნეს კოეფიციენტი — 1.

3. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს, სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტს ყოველკვარტალურად წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ეროვნული მეურნეობის ძირითადი ფონდების გადაფასების ახალი კოეფიციენტები.

4. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
თ. სიგუა.

თბილისი, 18 მაისი, 1993 წელი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი თუშეთს ეწვია

23 მაისს თუშეთს ეწვია საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე. ახმეტასა და ომალოში ამ მოგზაურობის დროს მას თან ახლდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონალური მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თემურ ფიფია, ახმეტის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ომალოში შეხვდა და ესაუბრა ადგილობრივ მოსახლეობას, რომელმაც საყოველთაო ხელშეწყობის მეოხებით ნორმალურად გამოიზამთრა და საგაზაფხულო სამუშაოებსაც დროულად შეუდგა. თუშეთის საკრებულოს ხელმძღვანელთა ინფორმაციის შემდეგ განიხილეს პრობლემები რომლებიც ახლა აქაური მოსახლეობის წინაშე დგას და დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ეს პრობლემები პირველ რიგში ეხება მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგებას, სასოფლო სამუშაოების საწვავით უზრუნველყოფას, ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენას, საავტომობილო გზის რემონტს და სხვ. ომალოში დაკონსერვებულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი ობიექტები, რომელთა მშენებლობის გაგრძელება აუცილებელია, რათა საერთოდ არ დაიშალოს.

— საოცარი ადამიანები არიან თუშეთის მკვიდრნი, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ვახტანგ გოგუაძემ, — ამდენი გასაჭირი ადგათ, რამდენი რამ აკლიათ, მაგრამ ამაზე ერთი სიტყვაც არ დასცდენიათ. პირველი, რისი სურვილიც ჩვენთან საუბარში გამოთქვეს, ის იყო, რომ მშვიდობა იყოს ჩვენს ქვეყანაში და უდიდესი სიხარული გამოხატეს აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის გამო. ეს 140 მოსახლე, რომელმაც წლევანდელი უმკაცრესი ზამთარი ომალოში გაატარა, ფაქტობრივად, გმირად უნდა ჩაითვალოს, რადგან საკუთარი ფუძისადმი მათი სიყვარული და ერთგულება, ურთიერთგატანა და ერთიანობა ყველასათვის სამაგალითოა.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა შექმნა გამოჩენილი ქართველი სპორტსმენის, მსოფლიო ჩემპიონის ომარ ფხაკაძის დამკრძალავი კომისია ბატონ ზურაბ კერვალიშვილის თავმჯდომარეობით.

ო. ფხაკაძე დაიკრძალება საბურთალოს სასაფლაოზე. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

ო. ფხაკაძის დამკრძალავი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 25, 26 მაისს 17 საათზე, გამოსვენება 27 მაისს, 15 საათზე.

მისამართი: ინგუროს ქ. № 3, 1 სადარბაზო, (დოლიძის ქუჩის დასაწყისში).

ედუარდ შევარდნაძე: ვილაცას ძალიან სურს დესტაბილიზაციის ტალღა ააგოროს, ხალხი კი დაიღალა და წესრიგს მოითხოვს, რომ შვებით მაინც ამოისუნთქოს

(დასასრული).

ჟურნალისტ რა რადიოკომენტატორის მიერ დასმულ შეკითხვას იმ გავრცელებული ინფორმაციის გამო, თითქოს 26 მაისისათვის დახვალეთ საქართველოში მოსალოდნელია ხელისუფლების საწინააღმდეგო მასობრივი გამოსვლები და არ არის გამორიცხული, ხერიოზული პროვოკაციაც, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა თქვა: მე ცოტა მიჭირს ამაზე ლაპარაკი, რადგან, თქვენ იცით ჩემი პრინციპული დამოკიდებულება, რომელიც არაერთხელ გამომიხატავს და საქმითაც დამიდასტურებია, რომ ვილაცის მოკვლას, ვილაცის მიმართ ტერორს, ვინც უნდა იყოს იგი, ჩვენი ხელისუფლება სრულიად გამორიცხავს. (თქვენ იცით, თუ რა გზებით და საშუალებებით გვებრძვიან ჩვენ, ვგულისხმობ ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარ ტერორისტულ აქტს, როცა ჯაბა იოსელიანი სიკვდილს სასწაულმა გადაარჩინა, მაგრამ ხელისუფლებას არც ერთ შემთხვევაში არ უპასუხნია ამგვარი გამოხდომებისათვის, ვიმეორებ, ვინც უნდა იყვნენ ისინი მიმართული, ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს, რომ საერთოდ გამორიცხოს ამგვარი აქტები და საერთოდ ტერორი არ არსებობდეს ჩვენი ქვეყნის სინამდვილეში.

ახლა ერთი ჯგუფი მოგზაურობს საქართველოში და ცდილობს, ისეთი ტალღა ააგოროს, რომელიც საქართველოს დღეს სულაც არ სჭირდება. უნდა გითხრათ, რომ მე ამ ხალხის არ მესმის, არსებობს რაღაც წესი, არსებობს კანონი, სისხლის სამართლის კოდექსი, არსებობს აგრეთვე პარტიების ქცევის და მუშაობის ჩვეულებრივი ეთიკა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფრის იგნორირება ხდება.

ბევრი რამ ვერ ამიხსნია, მაგალითად, ის, თუ რა არის იმაში ცუდი, რომ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას იუბილე აღინიშნოს ღირსეულად. ეს იქნება ქუთაისში, თბილისში, თუ სხვაგან, ჩვენ ვთქვით, რომ მისი იუბილე შემოდგომაზე აღინიშნება ისე, როგორც ეს ეკუთვნის და ეკადრება დიდოსტატს და ქართული ლიტერატურის კლასიკოსს. ახლახან, აბაშის რაიონში მოაწყვეს ლონისძიება. აბაშა ძალიან საინტერესო რაიონია, 3-4 დღის წინ

[...]

ლებამ უნდა მოაწყოს; სკოლებს ხელისუფლება ინახავს, ახლა ბაგა-ბაღებიც; აბაშას თავისი საქმეები არ მყოფნის და ხელისუფლებას შეაქვს. ცხადია, ეს ახლა სხვა რაიონებშიც. მაგრამ, აი, აქ იკრიბება მიტინგი, რომელსაც ატარებენ ძირითადად თბილისიდან ჩამოსულები და მოუწოდებენ ხალხს, ჩამოვაგდოთ ეს ხელისუფლება და სხვა მოვიყვანოთო. მაგრამ რატომ, რისთვის, ამას ხომ უნდა დასაბუთება; კაცმა შეიძლება

რაიმე მოითხოვოს, მაგრამ, როცა თქვენ ეს ხელისუფლება ყველაფერში გეხმარებათ, ლუკმაპურს სხვას აკლებს და თქვენ გიგზავნით, თქვენ იმ მოწოდებების პასუხად ის მაინც ხომ შეგეძლოთ გეთქვათ, რომ, ბატონებო, შინ წაბრძანდით-თქო. ამის ნაცვლად, თქვენ 100 კაციანი პურმარილი გადაიხადეთ, იმათაც, კარგად მოილხინეს და თბილისში დაბრუნდნენ. ეს მე ვუთხარი რაიონის გამგებელს. მე მიმაჩნია, რომ არ ვარგა ასეთი ამბავი. ჩვენ არც პოლიცია და არც ჯარი არ გამოგვიყენებია მათ წინააღმდეგ და თუ სურვილი აქვთ, შეუძლიათ, მანამ იარონ, ვიდრე არ დაიღლებიან, მაგრამ ახ-

[...]

როგორ შეიძლება, რომ გამოვიყენოთ საქართველ[...] უდიდესი ინტელექტუალური შესაძლებლობები? — [...] ერთი იყო კომენტატორის შეკითხვა.

— წუხელ ამაზე გვქონდა საუბარი პრემიერ-მინის[...]რთან ბატონ თენგიზ სიგუასთან, — უპასუხა სახელმ[...]ფოს მეთაურმა, — და, მიუხედავად იმისა, რომ [...]ლა ქვეყანაში ყოველი დოლარი აღრიცხვაზეა, მაინ[...] გადავწყვიტეთ, რომ მივცეთ ძმებს — მაისურაძეებს, ამ

უნიკალური ნიჭის ხალხს — საშუალება წავიდნენ იტალიაში და წარადგინონ კოშკის გადარჩენის პროექტი. მე მგონი ეს არის საქართველოს უკვდავება, რომ ჩვენ დღეს საკუთარი ქვეყნის გადარჩენის გზებს ვეძებთ და მაინც არსებობენ ადამიანები, რომლებიც ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე ფიქრობენ. ძმები მაისურაძეები ამ მხრივ გამონაკლისი არ არიან, ბევრია ასეთი ხალხი, რომლებმაც დროს გაუსწრეს და ეს ჩვენი კაპიტალია. ზოგიერთი ჩვენი ოპონენტის ულირსმა მცდელობამ, სამწუხაროდ, ამოგვაგდო კალაპოტიდან, ესეც იყო მათი მიზანი, რომ ნერვები მოეშალათ ...

[...]

რონ, ქვეყნის ხელმძღვანელობას ერთიანი არმიის შენებლობისათვის ბრძოლაში.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი.

საუკეთესო განათლება-საუკეთესო მომავლის გარანტი!

ინგლისურენოვანი თბილის-ბითლისის კოლეჯი

მომავალი, 1993-1994 სასწავლო წლიდან ქართველ მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის საქმეს მოემსახურება **საქართველოში პირველი ინგლისურენოვანი კოლეჯის** ახალგაზრდა და მაღალპროფესიონალ უცხოელ პედაგოგთა კადრები.

კოლეჯი საერთაშორისო სერტიფიკატს გასცემს და ახალგაზრდობის მაღალინტელექტუალურ განათლებას უზრუნველყოფს:

- ფიზიკა-მათემატიკურ, ეკონომიკურ და სხვა საგნებში მსოფლიო სტანდარტების დონეზე შექმნილი სასწავლო გეგმებით, პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით;
- სწავლებას საერთაშორისო ტესტების გამოყენებით;
- სწავლების უახლესი, მსოფლიოში აპრობირებული მეთოდებითა და ფორმებით;
- ინგლისური და თურქული /მსურველთათვის/ ენების უმაღლეს დონეზე დაუფლებით;
- სწავლებაში თანამედროვე ტექნიკური ლაბორატორიების, კომპიუტერული ტექნიკის, ტელე და ვიდეოაპარატურის, ლინგაფონის კაბინეტების, სხვა აუდიო-ვიზუალური საშუალებების გამოყენებით.

ყოველივე ეს და კოლეჯის მიერ გაცემული სერტიფიკატი მსოფლიოს ნებისმიერ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების გარანტია.

სწავლების დაწყებამდე, ზაფხულის განმავლობაში, თურქეთში უფ[...]ოდ მოეწყობა **ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების ორთვიანი კურსები**, სადაც მოსწავლეებს შეექმნებათ შინაარსიანი დასვენებისა და სწავლების საუკეთესო პირობები.

კოლეჯში სწავლის პერიოდში მოსწავლეთა უფასო მგზავრობა უზრუნველყოფილი იქნება ამ სასწავლებლის სპეციალური ტრანსპორტით.

ახლო მომავალში გათვალისწინებულია უფასო კვება და სპეციალური ფორმები მოსწავლეთათვის.

სწავლების ხანგრძლივობაა 7 წელი. სწავლების პირველი წლის ხარჯებს გაიღებს ფირმა და მშობელთათვის უფასოა. შემდგომ წლებში სწავლა ფასიანია, მაგრამ მათთვის ხელმისაწვდომი.

კოლეჯში კონკურსის წესით ჩაირიცხება ის 5-კლასდამთავრებული 60 მოსწავლე, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მისაღებ გამოცდას და გაივლის გასაუბრებას.

გამოცდა ჩატარდება ტესტების საშუალებით. მის თემატიკაშია მათემატიკის, ქართული და ინგლისური ენების, ზოგადი კულტურის საკითხები.

მშობელთა კრება ჩატარდება 3 ივნისს 10 საათზე.

კოლეჯში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ხუთი კლასის დამთავრების ცნობა-აკადემიური წარმატების ფურცელი /დედანი/;
- ორი ფოტოსურათი /ზომით 3 X 4/;
- დაბადების მოწმობის ასლი.

გამოცდა ჩატარდება ა.წ. 13 ივნისს, კვირას, დასაწყისი 10 საათზე. შემდგომ მოეწყობა გასაუბრება.

საბუთები მიიღება და გამოცდა ჩატარდება ყოფილი გიმნაზიის შენობაში /თბილისი, კრწანისის რაიონი, ი. გრიშაშვილის 51/, **ტელ. 72-20-29, 31-30-46.**

საბუთები მიიღება 20 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით /9 საათიდან - 17 საათამდე/

ფირმა "ჩაღლარი"

დღეს ქართული აზრი (დიდუბის პანთეონი) იბარებს კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილის — ზურაბ ავალიშვილის ნეშტს.

26 მაისი და ზურაბ ავალიშვილი

მიმდინარე წლის 18 მაისს მოწმენი გავხდით ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის დიდი წერილის გამოქვეყნებისა „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე: „26 მაისი — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დიდი ეროვნული დღესასწაული". წერილი შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი უკანასკნელი წლების ეროვნული მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ აქტად და, უფრო მეტიც, პოლიტიკური აზროვნების ბრძნულ დოკუმენტად: „1918 წლის 26 მაისი ერის ისტორიულ დროთა გაწყვეტილი კავშირის, ერის მოშლილი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დიდი ნიშანსვეტია"; იგი აერთიანებს ჩვენს „წარსულს, თანამედროვეობას და მომავალს"; წარმოქმნილია „გამთლიანებული ეროვნული ცნობიერების" საფუძველზე და XIX ს.-ის სამოციანელების, თერგდალეულების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა[...]რომ არა,... „არც 1918 წლის 26 მაისი იქნებოდა".

1918 წლის 25-26 მაისის დღეები „სწორედ ის დღეები და საათებია" ისტორიაში, რომლებიც „საუკუნეების საქმეს აკეთებენ და ერის ბედს წყვეტენ".

[...]

პირობებში ამგვარი სტრიქონების გამოქვეყნებას:

„მთელი გულით განვიცდი დიდ სიხარულს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობით არის გამოწვეული. მთელი გულით დიდებთანა ვარ, — დედასთან, უფროს ძმასთან, ხალხთან, რომლებსაც ქუჩებში ვხედავ და ვუყურებ".

„ქართველი ხალხის ფართო წრეებისათვის ეს, პირველყოვლისა, უდიდესი ისტორიული მოვლენა იმიტომაა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეებშია, საუკუნოვანი სურვილისა და ნატვრის განხორციელება, საუკუნეებით დაგუბებული ენერგიის გადმოხეთქვაა.

ეს ფაქტი უშუალოდ ხდება [...]

ყოფილებისა და სიხარულის გრძნობით ვარ მოცული!

მაგრამ — რა ადგილი ეჭირა 26 მაისს, უფრო ზუსტად — საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის საკითხს იმდროინდელ პოლიტიკურ პირობებში, როგორი იყო დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი ჩვენში არსებულ პარტიებისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის სხვადასხვა წარმომადგენელთა მხრივ?

1990 წლის პირველ თვეებში ჩვენს პრესაში ზედიზედ ორი სტატია გამოქვეყნდა. ერთი ეკუთვნოდა 83 წლის ქართველ ემიგრანტს მიხეილ ქავთარაძეს („თბილისი", 3. III. 90), მეორე — საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღორძინების ერთ-ერთ ინიციატორს („თბილისი", 13. II. 90). პირველი მწუხარებით („ნაღვლიანი და დაღლილი") აღნიშნავდა, რომ საქართველოში ეროვნულმა აღორძინებამ საკმაოდ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია თერგდალეულებ[...] ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად, რომლის მხოლოდ

ლობაში, — ქართველმა „ერმა თავი გაყო კაპიტალიზმის ჩარხში" (ხაზი ავტორისაა, შ. ხ.). და როგორი ძალითაც არ უნდა ცდილიყვნენ „ჩვენი ინტელიგენცია" და პარტიები, მათ მაინც ვერ მოახერხეს „ქართველი ხალხის გადვიძება ნაციონალიზმის დროშის ქვეშ" და ვერ „გაახვიეს" ის „ნაციონალიზმის ქურქში" (თხზ, I, II, 1920).

რაც შეეხება ქართველ სოციალ-დემოკრატების პრაქტიკულ პოლიტიკურ მიზნებს, — ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მათი ერთი ჯგუფის მიერ 1912 წ. შედ[...]

სამფლობელომ დაიწყო ნგრევა და დაშლა", საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ეს ლოიალური მებრძოლი იძულებული იყო განცვიფრება გამოეთქვა და ეღიარებინა: ასეთ პირობებში არავინ აღმოჩნდა საქართველოში (ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა) რომ ეფიქრა და ეთქვა — „დადგა დრო მოვიშოროთ რუსეთის უღელიო" (გვ. 23).

არავინ იყო, რომ ყური მიეგდო „ისტორიული სტიქიების გუგუნისათვის", ეფიქრა იმათზე, ვინც აღარ იყო და ვინც მომავალში იქნებოდა, ვინც „ჰქმნიდა ქართველ [...]

[...]

ისა და ილიას შემოქმედებაში, მაგრამ მას „ზერელი გადაურჩა" მესამე დასმა და „საქართველოს ორ სამტრო ბანაკად გათიშვამ", ავტორი აფრთხილებდა ქართველ ხალხს, მომავალში მაინც აღარ გაემეორებინათ ეს „საბედისწერო შეცდომა".

მეორე წერილის ავტორი ცდილობდა თავისებურად დაესაბუთებინა საქართველოში „სოციალ-დემოკრატიული პარტიის" აღდგენის ცდები და, ჩემი აზრით, უსაფუძვლო და გაუმართლებელ[...]

დასავლეთი ნაწილი („ვერა") უნდა ყოფილიყო ქართველებისა. მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი შესაბამისად სომხების და აზერბაიჯანისა.

არ შემიძლია არ დავიმოწმო შესანიშნავი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, იმ მოვლენების უშუალო მონაწილე და გონიერი დამკვირვებელი, ღრმა ანალიტიკოსი, რომელიც ყველაზე ახლო იდგა თავისი პოლიტიკური შეხედულებებით და მოღვაწეობით 26 მაისის იდეებთან და [...]

და აღტაცებით არ შეგვებებოდნენ! ჩვენი ხალხი — წერდა ის — არაა დაბადებული მონობისა და მორჩილებისათვის, არაა დაბადებული „ეთნოგრაფიულ მასად", რომლიდანაც დროისა და პირობების შესაბამისად „გამოდიან ხან სპარსელები, ხან ოსმალები და ხან რუსები" (გვ. 80). და თუ ეს კარზე მომდგარი წუთები არ გამოვიყენეთ, უდიდესი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა თაობას.

ზ. ავალიშვილს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ქართველს ყოველთვის „ახსოვდა" ეს, მას ყოველთვის სურს წამოდგეს და იქმნეს თავის-თავადი".

ქართველი სოციალ-დემოკრატების სწორ შეფასებას ის უშლიდა ხელს, რომ განსხვავებით მათი თეორიისაგან, მათი პოლიტიკა ფაქტობრივად ეროვნული იყო. ეს თავისებურება მაშინვე იყო შენიშნული შემდეგში თბილისის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის სერგი დანელიას მიერ, რომელიც წერდა: „რეალური პოლიტიკა მენშევიზმისა, სავსებით ეწინააღმდეგება მის იდეოლოგიას" (ს. დანელია, საქართველოს ეკონომიკური ვითარებისათვის, თბილისი, 1920, გვ. 3-4). ქართველი ხალხის ხშირად გაუცნობიერებელმა მისწრაფებამ გადასძლია პარტიის თეორიას და [...]

[...]

გამბედავი ქართველი სოციალ-დემოკრატიის მიერ" (გ. 15).

ასე ესმოდა ზურაბ ავალიშვილს 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია მე-11 არმიის მიერ, ხოლო რამდენიმე წლით ადრე, როდესაც მისი სიტყვით „პეტროგრადში ამოხეთქა თებერვლის რევოლუციამ" და „რომანოვების [...]

გზაზე. ნუ ვიქნებით მისი შვილები სულმოკლენი, გავთავისუფლდეთ ყოველგვარი მდაბალი ვნებებისაგან, ყველანი დავდგეთ ერთად ერთ დიდ და ცხოველმყოფელ გზაზე, ერის გაერთიანების გზაზე!

შალვა ხიდაშელი.

23 მაისი, 1993, თბილისი.

ქართველი ერის ორი ისტორიული აქტი

ბაეროს მიერ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიული ცნობა, მისი დამოუკიდებლობისაკენ შეუპოვარი სვლის და სამართლებრივი სახელმწიფოს შენების პირობებში რესპუბლიკის სამართალშემოქმედებითი საქმიანობა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგლამენტაცია გა- [...]

უკიდებლობის აქტის დამატება II-ის VII თავში ფიქსირებული რუსეთის მთავრობის მიერ სპეციალური დეკრეტით აღიარებული პრინციპი „...რომელთა მიხედვით ყოველ ერს აქვს სრული უფლება ამოირჩიოს ისეთი **პოლიტიკური რეჟიმი, როგორც მას სურს და თვით რუსეთსაც კი გამოეყოს, თუ ამას მოისურვებს"** (სა-[...]

და სოციალური აზროვნების დატვირთვის თვალსაზრისით.

რა თქმა უნდა, ქართულ სამართალშემოქმედებაში საპატიო ადგილს იკავებს 1991 წლის 9 აპრილს მიღებული „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტიც".

ყურადღებას იპყრობს ამ აქტ[...]

[...]

ხლი ამ დებულებებს აკონკრეტებს: — „რესპუბლიკა იღებს ვალდებულებებს მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს გაუხსნას თავისუფალი განვითარების ასპარეზი".

ცივილიზებულ სამყაროს მუდმივმოქმედი ეს დებულებები, სა-

ეს ჩვენი ისტორიაა

ფრანგეთის დიდი რევოლუციის მანიფესტიდან ნასესხებ-ნაზიარევი ეს პრინციპები დემოკრატიულმა საქართველომაც არა მარტო გაიზიარა, არამედ დღენიადაგ ზრუნავდა მათი უცილობელი დაცვისა და განმტკიცებისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის სანიმუშო პროექტი 1918 წლის 22 მაისს შემუშავდა. მისი შემდგენელი პეტერბურგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ადმინისტრაციული სამართლის კათედრის გამგე ზურაბ ავალიშვილი იყო. პროექტის ტექსტი მოიწონეს ბ-მა აკაკი ჩხენკელმა, ნოე ჟორდანიამ, ნიკო ნიკოლაძემ და პეტრე სურგულაძემ (პროექტის ავალიშვილისეული ავტორობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, თუმცა ა. და პ. სურგულაძეებს თანაავტორებად ეროვნული საბჭოს დასახელებული წევრებიც მიაჩნიათ).

ეს კანონპროექტი შედგა ქ. ბათუმში თურქეთთან საზავო ხელშეკრულების თაობაზე მოწვეული კონფერენციის ქართველ დელეგატთა ჩასვლის პერიოდში, ხოლო შემდგომ ეროვნული საბჭოს აღმასკომის დავალებით პროექტის ტექსტი დახვეწა და რედაქტირება გაუკეთა ბ-მა გიორგი გვაზავამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი ეროვნულმა ყრილობამ ერთხმად მოიწონა. ტექსტი 1919 წლის თებერვალში უცვლელად დაამტკიცა საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტი ქართული სამართლებრივი კულტურის შედევრთა შორის ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს ტექნიკის, არქიტექტონიკის, სტრუქტურის, პოლიტიკური

[...]

წინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები. ამ აქტში 1918 წლის აქტთან მიმართებაში მემკვიდრეობითობის პრინციპი დაცულია, მაგრამ სხვა საკითხია, თუ რამდენად რეალურად ასრულებდა იმდროინდელი ხელისუფლება თავისივე დამტკიცებულ აქტს.

სამწუხაროდ, 1991 წლის 9 აპრილის აქტს დეკლარაციულ-პოპულისტური ელფერი დაკრავს.

თუნდაც ის გარემოება, რომ აქტზე ხელმოწერების პატივი უცხო პირებსაც ერგოთ (თუ ძალით მიაღწიეს?!), მისი მიღების პროცედურის კანონიერებაში საკმაო ეჭვს ბადებს.

ასევე სრულიად ზედმეტად გვესახება აქტზე მთავრობის წევრების ხელმოწერებიც. აქტი მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ხოლო მთავრობის წევრები დეპუტატები არ იყვნენ, სამწუხაროა, რომ აქტი ხელმოწერებით „დაამშვენეს" მთავრობის იმ წევრებმა, რომლებიც სამსახურებრივად ვალდებულნი იყვნენ სხვებისათვის მიეთითებინათ და არ დაეშვათ ასეთი თავისუფალი მიდგომა ერის უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტის მიმართ. ვინუგეშოთ თავი თუნდაც იმით, რომ მსოფლიოს ცივილიზაციამ იცის მაგალითები, როდესაც „ძლიერნი ამა ქვეყნისა" არა მარტო ცოლებს ეფერებოდნენ, ცხოველებსაც პატივს მიაგებდნენ — ცხენებს სენატორებად ირჩევდნენ.

ის არგუმენტი, რომ 1918 წლის აქტზეც მთავრობის წევრთა ხელმოწერებია, მისაღები არ არის, ვინაიდან 1918 წელს ეროვნულმა ყრილობამ ჯერ დამოუკიდებლობის აქტი მიიღო და შემდგომ შეადგინა მთავრობა. 1991 წელს კი მთავრობა უკვე ფუნქციონირებდა. დასანანია ეს შეცდომა, მაგრამ ვინუგეშოთ თავი, რომ ესეც იმდროინდელი ხელისუფლების მორიგი ილეთი იყო.

ვიქტორ შარაშენიძე,
იურისტთა მსოფლიო ასოციაციის წევრი

მოქალაქეობის კანონი და ქართული ემიგრაცია

26 მარტს პარლამენტმა პირველი მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი — საქართველოს მოქალაქეობის კანონი, რომელიც უკვე დიდი ხანია იყო საჭირო რომ გვქონოდა, როგორც ქვეყნის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი. კანონი ნამდვილად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან იგი ჯდება ყველაზე მკაცრი თანამედროვე მოთხოვნების ჩარჩოში. ამიტომ განსაკუთრებით საწყენია ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გაუთვალისწინებლობა, რომელიც ქართულ ემიგრაციაზე მძიმე შთაბეჭდილებას დატოვებს. კერძოდ კი საქმე ეხება ქართული ემიგრაციის სტატუსს, რომელიც სრულიად იგნორირებულია.

11 მარტს პირველი წაკითხვით კანონის მიღებისას დაიკარგა 1 მუხლის მეორე ნაწილი და 34 მუხლი, რომლებიც მართალია არადამაკმაყოფილებლად, მაგრამ მაინც ეხმაურებოდნენ ამ პრობლემას. დავა სულ სხვა რამეზე, კერძოდ კი ორმაგი მოქალაქეობის შესახებ მიმდინარეობდა, მაგრამ შეუმჩნევლად ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლეს.

რამ გამოიწვია კამათი? კანონპროექტის პირველ მუხლში არაორაზროვნად იყო ნათქვამი, რომ საქართველოში არ არის დაშვებული ორმაგი მოქალაქეობა, თუმცა შეიძლება არსებობდეს გამონაკლისები. თუ როგორ და ვის მიერ მოხდება მისი მინიჭება ჩამოთვლილია 34-ე მუხლში.

პრობლემის არსი ასეთია: საქართველოს მოსახლეობის თითქმის ერთი მესამედი თავისი ეროვნული წარმოშობით სამი მეზობელი სახელმწიფოდანაა, ე. ი. მათ შეიძლება ჰქონდეთ როგორც საქართველოს, ისე ამ ახალი სახელმწიფოების მოქალაქეობის უფლება. ასე რომ, ორმაგი მოქალაქეობის მოწინააღმდეგეთა პოზიცია გასაგებია; მაგრამ, ვთქვათ, ვინმე ქართველი ბედის უკუღმართობამ შორეულ არგენტინაში გადააგდო, რომლის მოქალაქეც ის შემდგომში გახდა, ვის რა დააკლდება, თუ მას აღუდგება საქართველოს მოქალაქეობა და არც არგენტინას, რომელმაც იგი მძიმე წლებში შეიფარა, არ შეაქცევს ზარალს?

პარლამენტის აღნიშნულ სხდომაზე მოყვანილი იქნა საინტერესო ჰიპოთეტიური მაგალითი: დავუშვათ, გენერალმა შალიკაშვილმა მოინდომა საქართველოს მოქალაქეობის მიღება, ამისათვის მან განცხადებები უნდა წეროს სხვადასხვა კომისიაში? და თან ამერიკის მოქალაქეობა უნდა დათმოს? ეს უკიდურესი მაგალითი გვიჩვენებს, რომ მოქალაქეობის კანონში ქართველი ემიგრანტებისა და მათი პირდაპირი შთამომავლების საკითხი გადაწყვეტილი არ არის.

განხილვის დილას ჩვენმა კომიტეტმა წარმოადგინა 34-ე მუხლის ალტერნატივა, რომელიც დარბაზს წაუკითხა სპიკერის მოადგილემ ქ-მა რუსუდან ბერიძემ; მაგრამ, როგორც ჩანს, ცხარე კამათში გართულმა დეპუტატებმა იგი ვერ გაიცნობიერეს. ადამიანის უფლებებისა და ეროვნებათა საქმეების კომიტეტის მიერ წამოყენებული პროექტი, რომელსაც ამჟამად, მოქალაქეობის კანონის მიღების შემდეგ შეიძლება ცალკე, ერთჯერადი კანონის ან დადგენილების სახე მიეცეს, ასეთია:

„იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო 70 წლის განმავლობაში იყო ოკუპირებული და ანექსირებული უცხო სახელმწიფოს მიერ, საქართველოს მოქალაქეობის კანონის მიხედვით დაბადებით საქართველოს მოქალაქეობის უფლების მქონე პირებს, რომლებმაც დატოვეს საბჭოთა საქართველო, ავტომატურად მიეცემათ (დაუბრუნდებათ) საქართველოს მოქალაქეობა; ამის პირობად მათთვის მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში იქნება აუცილებელი უცხო სახელმწიფოში მიღებული მოქალაქეობის დათმობა:

ა. თუ ეს სახელმწიფო არის საქართველოს რომელიმე მეზობელი სახელმწიფო;

ბ. თუ ეს სახელმწიფო არის მათი ისტორიული სამშობლო;

გ. თუ მათ ეს მოქალაქეობა მიიღეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ". დავძენ, რომ საქმე შეიძლება ეხებოდეს ასეულამდე ქართველს.

აქ, მე მგონი, ყველაფერია გათვალისწინებული: გამორიცხულია ორმაგი მოქალაქეობა მეზობელ სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის, ე. ი. მათთვის, ვინც ნამდვილად შეიძლება წარმოადგენდნენ საშიშროებას ქვეყნის უშიშროებისათვის; ასევე გათვალისწინებულია, რომ საქართველოს მოქალაქეების მოზრდილი რაოდენობა გაემგზავრა თავიანთ ისტორიულ სამშობლოებში; საერთაშორისო კანონებით მათ აქვთ უკან დაბრუნების უფლება, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მათ უნდა დათმონ თავიანთი ისტორიული სამშობლოს მოქალაქეობა, ვინაიდან მათი რიცხვი ნამდვილად დიდია; ხოლო ბოლო პუნქტი ითვალისწინებს, რომ ისინი, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მიიღეს რომელიმე უცხო ქვეყნის მოქალაქეობა, საბჭოთა ემიგრანტებად ვერ ჩაითვლებიან და ამიტომ ეს კანონი მათზე ვერ გავრცელდება.

ყველაფერ ამას ზოგიერთი განმარტება სჭირდება, ვინაიდან, როცა ემიგრანტებს ვახსენებთ, ბევრი მაშინვე მხოლოდ 1921 წლის ემიგრაციაში წასულ მთავრობას წარმოიდგენს. სინამდვილეში პოლიტიკური მეცნიერება ითვლის საბჭოთა კავშირიდან ემიგრაციის სამ პერიოდს და სამ განსხვავებულ ტალღას, რომელიც საზოგადოების განსხვავებულ ფენებს შეეხო: პირველი — ეს იყო 1921-24 წწ, მეორე — 1941-1945 წწ. და მესამე — 70 წლების მეორე ნახევარი.

პირველ ემიგრაციას ჩვენში სოციალ-დემოკრატიულად თვლიან, თუმცა მის შემადგენლობაში არა ნაკლებად იყვნენ ეროვნული დემოკრატები (განსაკუთრებით 1924 წელს), აგრეთვე ფედერალისტები და სხვები, ძირითადად პოლიტიკური მოღვაწეები და მათი ოჯახები. არასწორია ასევე, თითქოს ისინი ყველანი პარიზში დასახლდნენ — სინამდვილეში იქ საქართველოს ემიგრაციული მთავრობა იმყოფებოდა და ნამდვილად იყო ქართველთა ყველაზე დიდი კონცენტრაცია, მაგრამ ისინი ასევე გაიფანტნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. იურიდიული კომისიის სხდომაზე თქმულა, თითქოს მათ არ მიიღოთ ამ ქვეყნების მოქალაქეობა, სადაც ცხოვრობდნენ — ეს. მართალია მხოლოდ ემიგრაციული მთავრობის წამყვან წევრებსა და ზოგიერთ აქტივისტზე, მაგრამ მათი ოჯახების წევრები და, საერთოდ უმეტესობა, როგორც წესი, ყოფითი მიზეზების გამო იძულებული იყო დროთა განმავლობაში მიეღო იმ ქვეყნების მოქალაქეობა. ეს ყოფითი მიზეზებია — პოლიტიკური ლტოლვილები მუდმივად არიან პოლიციის კონტროლქვეშ, გაძნელებულია მათთვის გადაადგილება და სამუშაოს პოვნა; ყველაფერი ეს სულ ადვილად თავდება რომელიმე დასავლეთის სახელმწიფოში ნატურალიზაციის შემდეგ (რაც, სხვათა შორის ძალიან რთული პროცესია და მრავალი წელი მიმდინარეობს!). ასე, რომ „პატრიოტიზმის" ცნების წამოყენება უცხო სახელმწიფოში ქართველის ნატურალიზაციისას — სუფთა წყლის საბჭოური დემაგოგიაა!

ყველაზე ნაკლები ჩვენ ვიცით ემიგრაციის მეორე ტალღის, განსაკუთრებით მათი რაოდენო-

ჩემი აზრი

ბის შესახებ. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელმძღვანელობის ომისათვის მოუმზადებლობის გამო 1941 წლის ზაფხულის სამ თვეში გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს სამი მილიონი ცუდად შეიარაღებული საბჭოთა ჯარისკაცი. ამას დაემატა მათ მიმართ ღალატიც — საბჭოთა მთავრობამ უარი თქვა ჟენევის კონვენციაზე, რომლის თანახმადაც ნათესავებს საერთაშორისო წითელი ჯვრის საშუალებით უფლება აქვთ სამხედრო ტყვეებს გადაუგზავნონ პროდუქტები? ამის შედეგად გერმანელთა ბანაკებში საბჭოთა ტყვეებს ყველაზე დაბალი სტატუსი ჰქონდათ და ხშირად შიმშილით იხოცებოდნენ. ხოლო ვინც გადარჩა და გაქცევა მოახერხა (მათ შორის ბევრი ქართველი იყო), ხშირ შემთხვევაში შეუერთდნენ ანტიფაშისტურ პარტიზანებს ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

მაგრამ ყოფილ სამხედრო ტყვეებს ახალი, საბოლოო დარტყმა ელოდათ საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან — საბჭოთა კავშირში ჩამოსვლისას სახლში დაბრუნებას არ აცლიდნენ და პირდაპირ ციმბირში აგზავნიდნენ! ხოლო ისინი კი, ვინც უცხოურ პარტიზანულ რაზმებში იბრძოდნენ, განსაკუთრებით იწვევდნენ ორგანოების უნდობლობას და ბევრი მათგანი ისე დახვრიტეს, რომ მათმა ახლობლებმა მათი ომიდან ცოცხალი დაბრუნებაც ვერ გაიგეს! აქვე დავძენ, რომ ყველა ცივილიზებულ ერში ტყვეობიდან დაბრუნებულ ჯარისკაცს გმირად იღებენ!

ყველაფერი ეს 1945 წელს მაშინვე გახდა ცნობილი ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტყვეებისათვის და მათი დიდი ნაწილი აღარ დაბრუნდა სასაკლაოზე. მალე ისიც გახდა ცნობილი, რომ თუ ისინი მახლობლებს წერილით შეატყობინებდნენ, რომ ცოცხლები იყვნენ, მათ ახლო ნათესავებსაც ციმბირი ელოდათ. ასე მოიქცა ქართველ მეომართა დიდი ნაწილი უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიაში, რომელთა ბედის შესახებ მათმა ახლობლებმა ბევრ შემთხვევაში დღესაც არაფერი იციან!

მე მრავალ ემიგრანტს შევხვედრივარ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში; ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინ მათ ეშინოდათ თავიანთი ნათესავებისათვის წერილის მიწერა, რომ მათთვის არაფერი არ ევნოთ, აქ ჩამოსვლაზე რომ არაფერი ვთქვათ! განა ჩვენ გვაქვს მორალური უფლება მოვთხოვოთ მათ განცხადებები, რომელთაც შემდეგ ბიუროკრატიულად გადავუგდებთ კომისიებს? მათ აქვთ სრული უფლება (ისე როგორც საბჭოთა საქართველოდან წასულ ყველა ქართველს) **ავტომატურად** მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა და თუ ჩვენი კანონმდებლები ამას ვერ გაიცნობიერებენ, ისინი ამ საქმისათვის შეუფერებელი ყოფილან! მაგალითისათვის მოვიყვან ისრაელს, სადაც ყველა ებრაელი, რომელიც ფეხს დაადგამს თელ-ავივის აეროპორტში და გამოთქვამს ამის სურვილს, იქვე ხდება ამ ქვეყნის მოქალაქე!

ამ კატეგორიის ემიგრანტები, რომელთა რაოდენობა არავინ იცის, დროთა განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნებში დაოჯახდნენ, ფესვები გაიდგეს და სადღაც იქნება, რომ საქართველოს მოქალაქეობის ფასად მათ მოვთხოვოთ თავიანთი ქვეყნების მოქალაქეობის დათმობა! საერთოდ, ჩამოყალიბებულ ერებს გააჩნიათ დიასპორა და, როგორც წესი, ეს ხალხები ამით მხოლოდ იგებენ.

მესამე ემიგრაცია უკავშირდება ჰელსინკის 1975 წლის საბოლოო აქტს. საბჭოთა პროპაგანდის მიერ ამ საკითხის მიჩქმალვის გამო ფართო საზოგადოებამ არც იცის, რომ ამ აქტის ხელმოწერამდე ძირითადი პოლიტიკური ბრძოლები სწორედ თავისუფალი ემიგრაციის პრობლემას ეხებოდა; ამ აქტმა კვლავ დაადასტურა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ადამიანთა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებათა მეთორმეტე პუნქტის დებულება, რომ „ყოველ ადამიანს აქვს თავისუფალი გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება, მათ შორის ნებისმიერი სახელმწიფოს დატოვებისა და საკუთარ სახელმწიფოში დაბრუნების უფლება".

ბუნებრივია, ადამიანები მხოლოდ მოუწყობელ და რეპრესიულ ქვეყნებს ტოვებენ — თავის დროზე აღმოსავლეთ გერმანიის კომუნისტურმა რეჟიმმა ბერლინის ცენტრში კედელიც კი ააშენა, რომ თავისი მოქალაქეები არ გაქცეოდა (თუმცა ამან მაინც ვერ უშველათ!...). საბჭოთა მთავრობას ბუნებრივად ეშინოდა, რომ თავისუფალი ემიგრაციის დაშვება გამოიწვევდა მოქალაქეთა მასიურ ემიგრაციას დასავლეთში, მას ასევე ეშინოდა ამ პუნქტის ბოლო ნაწილის, რაც ითვალისწინებს ადამიანების თავის სამშობლოში დაბრუნების უფლებას — საბჭოთა მთავრობას სულ არ უნდოდა დასავლეთის დემოკრატიებში ნაცხოვრები ხალხი შემოეშვა უკან — თავისუფლებას შეჩვეულ ადამიანს კვლავ მონად ასე ადვილად ვეღარ აქცევ!

ბოლოს, კომპრომისის სახით, საბჭოთა მთავრობა დათანხმდა ემიგრაციის გაადვილებას, რის ფასად მოითხოვა ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ ევროპის ყოველი არსებული სახელმწიფო საზღვრის შეუცვლელობის პრინციპი. აქვე დავძენ, რომ ირონიულია, თუ როგორ გამოგვადგა ჩვენ დღეს ეს პრინციპი რუსეთის იმპერიულ-რევანშისტული ძალების საზიანოდ, რაც გუდაუთასა და ცხინვალში ჯერ ვერ გაიცნობიერეს!

სწორედ ამ პერიოდში იცვლის ტაქტიკას საბჭოთა რეპრესიული აპარატი — იწყება დისიდენტების გასახლება დასავლეთში, ასევე იწყება ზეწოლა ხელოვნებისა თუ მეცნიერების იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც არ ფარავდნენ თავიანთ დამოკიდებულებას არსებული წყობილებისადმი, რათა ისინი აეძულებინათ წასულიყვნენ ემიგრაციაში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებისაგან განსხვავებით საქართველოში ამას ფართო მასშტაბები არ მიუღია, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა.

ეს გრძელდებოდა ჯიმი კარტერის პრეზიდენტობის დაწყებამდე, რომლის გულწრფელობამ აღნიშნული პროცესი კი არ გააფართოვა, როგორც მას უნდოდა, არამედ მისი სახელმწიფო მდივნის მოსკოვის პირველ ვიზიტს (1977 წლის მარტის ბოლო) და კატეგორიულ მოთხოვნას — საბჭოთა კავშირს დაეცვა ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა და ჰელსინკის საბოლოო აქტის პრინციპები — მოჰყვა მათთვის გაუთვალისწინებელი შედეგი, ერთ კვირაში საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში მასობრივად დააპატიმრეს ჰელსინკის აქტის შესრულებაზე დამკვირვებელთა ჯგუფების წევრები, რომლებიც მოითხოვდნენ ემიგრაციის თავისუფლებას, როგორც ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას!

თავისუფალი ემიგრაციის პრინციპი მოსკოვის ოლიმპიადის ჩატარების ერთ-ერთი პირობა იყო და იგი კვლავ გაადვილდა 1979 წელს, მაგრამ საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლის შემდეგ ისევ შეწყდა და 80-იანი წლების პირველ ნახევარში საბჭოთა კავშირი კვლავ ბოქლომით ჩაიკეტა. ამ დროს ხდება მხოლოდ ერთი-ორი ცნობილი ხელოვანის სენსაციური გაქცევა, რომელთათვის აუდიტორია — ეს მთელი მსოფლიოა და რომელთაც გოსკონცერტი არ აძლევდა უცხოეთში გასტროლების საშუალებას მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველები იყვნენ! არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ თავისუფალი ემიგრაციის აკრძალვამ გამოიწვია 1984 წელს ტრაგედია თბილის-ბათუმის ავიარეისზე — ამ ახალგაზრდებს მხოლოდ საბჭოთა სინამდვილის დატოვება და ემიგრაცია უნდოდათ! და რომ გამართლებოდათ, რა კანონმდებლობით შევხვდებოდით ჩვენ მათ?

საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში საბჭოთა მთავრობის განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ბალტიისპირეთის ეროვნულ მოძრაობებს მრჩეველებად ჰყავდათ თავიანთი თანამემამულეები დასავლეთის ქვეყნებიდან, (მათ არავინ არ ეუბნებოდა — ჩვენს ნუ გვასწავლით! პირიქით...), ხოლო სომხებმა კი დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ თავიანთ პირველ საგარეო საქმეთა მინისტრად მოიწვიეს კალიფორნიაში დაბადებული ამერიკელი სომეხი — ვის მოუვიდოდა თავში მისთვის ეთქვა, ამის ფასად ამერიკის მოქალაქეობა დათმე! სხვათა შორის, პირველი ამერიკული საელჩოც სწორედ სომხეთში გაიხსნა!

დასასრულ, ვინაიდან მოქალაქეობის კანონმა არ გაითვალისწინა გამონაკლისი საქართველოს შვილების მიმართ, რომლებიც საბჭოთა პერიოდში გაექცნენ ბოლშევიკურ რეჟიმს, არის სხვა გზაც, როგორც მოიქცნენ ზოგიერთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები კომუნისტური სისტემიდან განთავისუფლების შემდეგ — ზემოთმოყვანილი პროექტი მიღებულ იქნეს ცალკე, ერთჯერადი მოქმედების კანონის სახით. ამ შემთხვევაში ეს გამორიცხავდა მომავალში ვინმესთვის ორმაგი მოქალაქეობის სუბიექტურად მინიჭების ყოველგვარ შანსს.

ხოლო თუ პარლამენტი არ დაუშვებს ქართველი ემიგრანტებისათვის ავტომატურ მოქალაქეობას, ან ამის ფასად მათ მოსთხოვს დათმონ იმ შორეული ქვეყნების მოქალაქეობა, რომლებმაც ისინი გაჭირვების ჟამს შეიფარეს, ამით ვაღიარებთ, რომ საბჭოთა აზროვნების ტყვეებად ვრჩებით და დამოუკიდებელი ერის ცნობიერებამდე შორი გზა გვაქვს გასავლელი! და, რაც მთავარია, ჩვენ თანამემამულეთა მიმართ ასეთ სისასტიკეს ისტორია ნამდვილად არ გვაპატიებს!

მაგრამ იმედია, რომ ეს ასე არ იქნება და ჩვენი კანონმდებლები ამ უახლოეს დღეებში მრავალი ქართველის ოჯახში შეიტანენ დიდ სიხარულს!

რამაზ კლიმიაშვილი,
ადამიანის უფლებებისა და ეროვნებათა საქმეების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

„არა მეფეა კანონი, არამედ კანონია მეფე"

გვესაუბრება ბატონი დავით ზეიკიძე

ეს ძირძველი გამოთქმა, რომელიც კანონის უზენაესობაზე მიგვითითებს, ჩვენში, სამწუხაროდ, ბევრს დაავიწყდა. მათი „მეხსიერების აღსადგენად" რა ღონისძიებებს ახორციელებენ საზოგადოებრივი წესრიგის დამცველნი? — ამ კითხვით მივმართეთ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, თბილისის შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსს დავით ზეიკიძეს.

— იყო დრო, როცა პოლიციელი საზოგადოებრივი წესრიგის კი არა, მამულის ტერიტორიული მთლიანობის დაცვის სადარაჯოზე იდგა, — გვითხრა მან. — ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, დამნაშავეთა სამყაროს „გულმავიწყობა" რომ მოეძალა.

ხოლო დღეს, როცა მეომარი იბრძვის, პოლიციელი კი წესრიგს იცავს, შედეგიც არის. დანაშაულთა გახსნის პროცენტი ორ თვეში თოთხმეტჯერ გაიზარდა. თუმცა ეს მაჩვენებელი თვითდამშვიდების საბაბს არ გვაძლევს. ვიდრე არ აღიკვეთება რეკეტი, შეიარაღებული ყაჩაღობა, ორგანიზებული დანაშაული, პოლიცია არ გაიწმინდება ულირსი თანამშრომლებისაგან, მიღწეულით თავმოწონება არას გვარგებს. თუმცა, შიშველ ენთუზიაზმზე დაფუძნებული შეუპოვრობის, კეთილსინდისიერებისა და პატრიოტიზმის დავიწყებაც არ შეიძლება. სწორედ ამ პიროვნული თვისებების მადლია, არც თუ ისე სახარბიელო პირობებში, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა.

— **ამ ბრძოლაში კანონი, ალბათ, ყველაზე საუკეთესო იარაღია, მაგრამ ყველა იარაღი ხომ საუკეთესო არ არის?**

— დიახ, თუ ამ იარაღმა არ ივარგა, ქურდებთან და ყაჩაღებთან მარტო პოლიცია ვერაფერს გახდება. სისხლის სამართლის კოდექსი ბინის ქურდობისათვის თავისუფლების აღკვეთას 10 წლამდე ითვალისწინებს, ყაჩაღობისათვის — 15 წლამდე. ამიტომაც ყაჩაღობა უფრო გახშირებულია. თავზეხელაღებულს, სხვის ოჯახში ხელების ფათურზე მეტად, შეიარაღებული თავდასხმით ქონების მიტაცება უფრო ეიოლება. ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა გამკაცრდეს სასჯელის ზომა.

დღეს, როცა ასე მძვინვარებს რეკეტი და მაფია, სამართალდამცავ ორგანოებს მოწმეთა თუ დაზარალებულთა დაშინების გამო ხელი ეშლებათ მუშაობაში, ამდენად გადაუდებლად მიმაჩნია მათი დაცვის მექანიზმის ამოქმედება.

ხალხი დაიღალა, სიმშვიდე სჭირდება. კანონისადმი პატივისცემა და მოკრძალება თუ არ დამკვიდრდა, სიმშვიდე მხოლოდ ნატვრად დარჩება.

— **მიტინგები პოლიციას ზედმეტ საზრუნავს უჩენს. აქაც თავის სიტყვა კანონმა უნდა თქვას. კანონისა და მისი ხელმყოფის დაპირისპირება კი, ალბათ, დიდ სიძნელეებს გიქმნით მუშაობაში?**

— კანონისადმი უპატივცემულობა, მისი შეუსრულებლობა, დედაქალაქში და მთლიანად რესპუბლიკაში საშინელ ქაოსს იწვევს. რასაკვირველია, როცა პოლიცია კანონიერების დაცვას ვერ უზრუნველყოფს, იძულებულია ორმაგ თამაშში ჩაებას, და რადგან, კანონისა და მოსახლეობის ერთდროულად დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია, შედეგი არც თუ ისე სახარბიელოა.

თუ ქართველ ხალხს 26 მაისი — საყოველთაო დღესასწაული ჭეშმარიტად ეეროვნულება, დაე, ყველამ იქ მოიყაროს თავი, სადაც სრულიად საქართველო იზეიმებს. თუ ვინმე აზვირთებულ ემოციებს ვერ იკავებს და განსხვავებული ზეიმის ჩატარება სურს, ეს უკანონობაა. კანონის დარღვევის უფლებას კი არავის მივცემთ. ასეთია პოლიციის პრინციპული პოზიცია!

ესაუბრა
ლეილა კოშკაძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვიზიტი დამთავრდა

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრია კოზირევმა ვიზიტი დაამთავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში და კვიპროს მოსკოვში გაფრინდა. იგი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბილ კლინტონს, სახელმწიფო მდივანს უორენ კრისტოფერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბუტროს გალის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს. მათთან მოლაპარაკება მიეძღვნა ბოსნია-ჰერცეგოვინაში ომის შეწყვეტის გზების ძიებას. მომზადდა მოქმედების ერთობლივი პროგრამა — პირველი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ბოსნიის კრიზისის თანდათანობით მოწესრიგების პროცესში.

„ღრმა იმედგაცრუება"

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატში რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერმა რობერტ დოულმა „ღრმა იმედგაცრუება" გამოთქვა იმის გამო, რომ „ოკეანისგაღმა ხოლოდის ხუღუნის" საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს ბოსნია-ჰერცეგოვინაში მოქმედების ერთობლივი პროგრამა. „ეს გეგმა, რომელსაც ალბათ ახალს ვერ უწოდებ, ომის შეწყვეტის მცირე იმედს თუ იძლევა. უფრო მეტიც, იგი არსებითად მხედველობაში არ იღებს ბოსნიას როგორც სახელმწიფოს, რადგან აღიარებს დაპყრობილ სტატუს-კვოს", — ნათქვამია აქ გავრცელებულ სენატორის წერილობით განცხადებაში.

რ. დოულმა ამერიკის ადმინისტრაციას მოუწოდა „არ მისცეს ევროპელ მოკავშირეებსა და რუსეთს საშუალება ბლოკში მოაქციონ ბოსნიის მთავრობისათვის შეიარაღების მიწოდებაზე ემბარგოს გაუქმება".

გამოფენა — „კონვერსია 93"

ბირმინგემის ეროვნულ-საგამოფენო ცენტრში იხსნება გამოფენა-„კონვერსია 93", რომელიც რუსეთის ფედერაციის მრეწველობის თავდაცვითი დარგების კომიტეტმა მოაწყო ბრიტანეთის მთელი რიგი ფირმების დახმარებით.

გამოფენის ერთ-ერთი მიზანი დააინტერესოს უცხოური კომპანიები შეიძინონ უნიკალური ტექნოლოგიები, რომლებიც შეიძლება ფართოდ იყოს გამოყენებული სამოქალაქო დარგებში. აქედან მიღებული ვალუტა მეტად საჭიროა რუსეთის თავდაცვის ბევრი საწარმოსათვის, რომლებიც ახლა მძიმე ვითარებაში აღმოჩნდნენ შეკვეთების მკვეთრი შემცირების, სამოქალაქო რელსებზე გადასვლის გამო.

კერძო ბიზნესი ჩინეთში

კერძო ბიზნესი სულ უფრო მეტ როლს ასრულებს ჩინეთის ეკონომიკაში, რომელიც თანდათანობით გადადის საბაზრო ურთიერთობაზე, წერს გაზეთი „ჟენმინ ჟიბაო". როგორც კორესპონდენტი აღნიშნავს, ამჟამად მასში საშუალოდ წელიწადში შედის 20 მილიარდი იუანი გადასახადების სახით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვაჭრობისა და მრეწველობისაგან სახელმწიფო წლიური შემოსავლის დაახლოებით 7,8 პროცენტი.

ახლა ჩინეთში მოქმედებს დაახლოებით 15 მილიონი ინდივიდუალური და კერძო საწარმო. შრომის სფეროში რეფორმათა გაღრმავების კვალობაზე, ბევრი მუშაკი სახელმწიფო ფაბრიკებიდან და ქარხნებიდან სამუშაოდ კერძო სექტორში გადადის, რის მეოხებითაც მუშაკების სიტუაცია უმუშევრობასთან დაკავშირებით, რომლის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას მილიარდ-ნახევრიანზე მეტ ჩინეთში. კერძოდ, კერძო სექტორში ეწყობა 700 ათასამდე სახელმწიფო საწარმოების ყოფილი მუშა, წერს „ჟენმინ ჟიბაო".

როგორც გაზეთი აღნიშნავს, ეკონომიკურად ჩამორჩენილ რეგიონებში კერძო მეწარმეობა „ადგილობრივი მეურნეობის დასაყრდენი" და „ფინანსურ შემოსულობათა" მთავარი წყარო გახდა. ამასთან მათი მუშაობის ძირითადი მიმართულებაა სერვისის ინდუსტრია. ამავე დროს წელს, წერს გაზეთი, სულ უფრო მეტი კერძო ფირმა იწყებს ბიზნესს, რომელიც დაკავშირებულია სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და საინფორმაციო ხასიათის მომსახურებასთან.

„ჟენმინ ჟიბაო" აღნიშნავს, რომ მაღალი ხარისხისაა კერძო სექტორის მიერ გამოშვებული პროდუქცია, და მაღალკვალიფიციურია საწარმოთა ხელმძღვანელობის დონე.

რატომ უარყვეს „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამა

პენტაგონის გადაწყვეტილება უარი თქვას „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის ფარგლებში კვლევები განხორციელებასა და მოახდინოს დედამიწის ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ფართო მასშტაბის სისტემის შექმნის ხელახალი ორიენტირება, გამოწვეულია იმ წარუმატებლობით, რომელიც ჰქონდა სპარსეთის ყურის რაიონში ომის დროს. ამას თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ პირებზე დაყრდნობით კვიპროსის იუწყებოდა გაზეთი „ნიუსდეი". ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მაშინ ვერ შეძლო უახლესი საშუალებების შეიარაღების მეშვეობით მოესპო ან ხელთ ეგდო ერაყში არსებული „სკადის" რაკეტების ნახევარზე მეტი, ნათქვამია სტატიაში.

ვიზიტად ბონში

ბონში სამი დღის ვიზიტად ჩამოდის ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ანტონინ ბაუდიში. როგორც ბონის თავდაცვის სამინისტრო იუწყება, აპირებენ ხელი მოაწერონ შეთანხმებას სამხედრო დარგში.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

დაგეხმარებით
სახელმწიფო საწარმოთა აქციონერების დოკუმენტების პაკეტის ოპერატიულად მომზადებაში
ჩვენთან შეგიძლიათ შეიძინოთ სახელმწიფო საწარმოთა ფონდების შეფასების აქტების ბლანკების პაკეტი - გადარიცხვით
93-18-46 * 93-10-53
დაგეხმარებით ფირმის გახსნაში
გაგიწევთ სამეღალტრო კონსულტაციებს

ფირმა „დაფიონი"
1) იურიდიული და კერძო პირებისაგან შეისყიდის თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას უნაღდო ანგარიშსწორებით.
2) შეიძენს საბანკო ბილეთებს (მანეთს, კუპონს) უნაღდო ანგარიშსწორებით.
აგრეთვე:
თუ გსურთ ფულის დაზოგვა და თანხის (სწავლის ქირა, კომუნალური გადასახადი, საქონლის ღირებულება და სხვა) გადახდა გადარიცხვით, დაგვიკავშირდით და თქვენი პრობლემები მომენტალურად გადაწყდება.
ფირმა «დაფიონი» თქვენი საიმედო პარტნიორია.
ტელეფონი: 22-38-95

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ, ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ
Продаются в собственность двух- и трёхкомнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от москвы) в новом доме.
Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

ნუ ვუღალატებთ ქართულ ენობრივ ტრადიციებს!

განცვიფრებას იწვევს უცხოური ტერმინების დაჟინებული ხმარება ზოგიერთი ეთნოსისა და მისი ენის აღსანიშნავად ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც სათანადო ქართული ტერმინები ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონენი არიან. ეს განსაკუთრებით ეხება ორ უძველეს ხალხს, რომელთანაც საქართველოს უძველესი ისტორიული ფესვები აქვს. ვგულისხმობთ ებრაელებსა და ასურელებს.

როგორც ცნობილია, ებრაელების პირველი იმიგრაცია და დასახლება საქართველოში, ქართველ მემატიანეთა ცნობით, ჯერ კიდევ ქრისტეს წინ VI საუკუნეში უნდა ყოფილიყო. აქედან იწყება მჭიდრო კონტაქტები ქართველებსა და ებრაელებს შორის. და, ბუნებრივია, მათი დასახლება და მათი ენის აღმნიშვნელი ქართულად უფრო ადრეული ხანიდან იწყება, ვიდრე მრავალ სხვა ენაზე, მათ შორის რუსულ ენაზეც, საიდანაც ხშირად ვესესხულობთ სხვადასხვა ტერმინს. ხსენებული ხალხი ყველა ქართულ წყაროში „ებრაელებად" (ან „ურიებად" თუ „ჰურიებად") არიან მოხსენიებულნი, მათ შორის ბიბლიური ტექსტების ქართულ თარგმანში — „ებრაელი", („ებრაელნი", შდრ. მაგალითად, ოშკის ბიბლია, 978 წ. ხელნაწერი: „და იყო მუნ ჩუენ თანა ჭაბუკი ერთი ებრაელი", დაბადება, თავი 41, მუხ. 12). ასევეა როგორც მხატვრულ, ისე ისტორიული ხასიათის ლიტერატურაშიც (ანასეული ქართლის ცხოვრება, არსენ იყალთოელი, XI-XII სს. ხელნაწერები ს-417, XII ს., ა-65, 1210 წ., და მრავალი სხვა).

ტერმინი „ებრაელი" დღესაც ფართოდაა გავრცელებული ქართულში, მაგრამ „მეტამორფოზა" განიცადა ებრაელთა ენის სახელწოდებამ „ებრაულმა", რომლისათვის დღეს ქართული ტრადიციისა და ლოგიკის საწინააღმდეგოდ ხშირად ქართულისათვის სრულიად უცხო ტერმინს — „ივრითს" ხმარობენ. იცნობდა თუ არა ქართული სამყარო ებრაელთა ენას? — იმის ასეთი კითხვა, რომ ენადაც დღეს, XX საუკუნის ბოლოს, ჩვენს ენაში მოგვეხდა „შემოგვეტანა" აქამდე ჩვენთვის უცნობი „ივრითი". როგორც ცნობილია, უცხოური ტერმინები უთარგმნელად მაშინ შემოდის ენაში, როდესაც სათანადო ეკვივალენტი ენას არ მოეპოვება (შემოდის ახალი საგანი, ახალი ცნება და მას ახალი სახელწოდება მოსდევს). აქ კი, ჩვენს შემთხვევაში, სრულიად განსხვავებული ვითარებაა: ჩვენ ჩვენთვის კარგა ხნისა და კარგად ნაცნობი ხალხის ენის აღსანიშნავად უცხო ტერმინი შემოგვაქვს უცხო ენის (ამ შემთხვევაში — რუსული ენის) გავლენით. ჯერ ერთი, სრულიად ლოგიკურია, რომ ებრაელების ენა „ებრაული" იყოს, როგორც ეს ჩვეულებრივაა: რუსების ენა — „რუსული", სომხების ენა — „სომხური", თურქების ენა — „თურქული", და არა „ივრითი" (რომელსაც ზოგჯერ „ივრითულსაც" უწოდებენ, მაგალითად, ქ-ნ ჩესი ლეჩეშვილის წერილში გაზეთ „თბილისის" შარშან ოქტომბრის ერთ-ერთ ნომერში), რაც ქართველისათვის გაუგებარია. თურმე არჩევნებენ (ებრაელები) რომელთა ენაა არა ებრაული, არამედ ივრითი (თუ „ივრითული")?! ვნახოთ, რა გვაქვს ქართულ წყაროებში ებრაული ენისათვის: „ებრაელებრი" („წერილი იყო ებრაელებრ", ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973, გვ. 145; „თქვა ფილიპე ებრაელებრითა ენითა", ათონის მონასტრის ქართული ხელნაწერები, და სხვ.) და „ებრაული" (ქართლის ცხოვრება", XI ს. ხელნაწერები ა-1103 და ს-143, და სხვ.). ებრაულ ენად ქართული ენა" ებრაული ენის უცოდინარობაზეა აგებული, „ივრით" ებრაულად „ებრაულს" ნიშნავს და ჩვეულებრივ იხმარება ებრაული ენის აღსანიშნავად. ამდენად, ქართულად მისი ხმარება როგორც „ივრითულისა" გაუგებრობაა. განა დასაშვებია ანალოგიური წესით სხვა ენების სახელწოდებათა შექმნა, მაგალითად, „დოიჩური" გერმანული ენისათვის, ან „ინგლიშური" ინგლისური ენისათვის, რამდენადაც სხვას რომ თავი დავანებოთ, „დოიჩ" და „ინგლიშ" ზედსართავებია და, ამასთანავე გერმანულ და ინგლისურ ენებს აღნიშნავენ). ამის შესახებ არა ერთხელ ითქვა. და მაინც, ქართულ პერიოდიკაში და სატელევიზიო გადმოცემებში შევხვდებით ტერმინ „ივრითს". ხმარებას ქართულად „ებრაული ენის" ნაცვლად.

აქვე გვსურს შევეხოთ სხვა

რა ენა ნახდეს

ვიცნობდით ებრაელთა მშობლიურ ენას დღემდე" ასეა იგი მოცემული ქართულ ენციკლოპედიაში (ტ. 3). იმავე ენციკლოპედიაში (ტ. 5) „ივრითის" შესახებ წერია: „ივრითი" (ებრ. ივრით — ებრაული) ებრაული ენის არასწორი სახელწოდება, რომელიც უკანასკნელ ხანებში იხმარება ზოგიერთ ენაში". რუსულში ტერმინი „ივრითი" ხმარება გამოწვეულია იმით, რომ რუსი ებრაელისათვის „ებრაული ენა" („еврейский язык") — ეს ის ენაა, რომელიც გერმანული ენის საფუძველზე შეიქმნა და ცნობილია „იდიშის" სახელწოდებით. ამიტომ, ებრაული ენის სალაპარაკო ენად. ქცევის გამო მათ (რუსმა ებრაელებმა) „ნამდვილი ებრაულისათვის" შემოიღეს ებრაული ტერმინი „ივრით", რაც ებრაულად ებრაულ ენას ნიშნავს. ჩვენ, საბედნიეროდ, ასეთი „გაჭირვება" არ გვაქვს, რომ გადავუხვიოთ ჩვენს ტრადიციას და დავივიწყოთ დღემდე გავრცელებული სახელწოდება ებრაელების ენისა — „ებრაული ენა". თუ ჩვენ ებრაულად ვისაუბრებთ, ცხადია, იქ „ებრაული ენისათვის" ვიხმართ „ივრითს", მაგრამ ქართულად მისი ხმარება ნიშნავს გადავუსვათ ხაზი ქართულ-ებრაულ მრავალსაუკუნოვან ურთიერთობას და მათი ენა წარმოვადგინოთ როგორც სახელწოდება ქართული სამყაროსათვის ახალი ფენომენისა. (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „ივრითული ენა"

ტერმინებსაც, რომელთაც აგრეთვე ჩვენთვის ძველითგანვე ცნობილი ხალხისა და მისი ენის მიმართ ამ ბოლო ხანებში ხმარობენ. ეს არის „ასირიელი" და „ასირიული ენა". ასე უწოდებენ ხშირად მათ, ვინც ქართულ წყაროებში ცნობილია „ასურისა" და „ასურელის" სახელით. მათი დამკვიდრება ქართულში საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. განსაკუთრებულ როლს ასრულებს ასურული (იგივეა, რაც სირიული) ეკლესიისა და ენაც ქრისტიანულ აღმოსავლეთში და, კერძოდ, საქართველოში. ამიტომ ასურელთა და მათი ენის მოხსენიება ქართულ ლიტერატურაში მისი სათავეებიდან დაიწყო. ასე, მაგალითად, ტერმინი „ასური" („ასურნი") ხსენებული ეთნოსის წარმომადგენლებისათვის გვხვდება ჯერ კიდევ ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანში, ასევე არაბიბლიურ ლიტერატურაშიც (X ს-დან ვიდრე XIX ს-მდე: ხელნაწერი ა-95, X ს.; ა-110, X-XI ს.; ა-65, XIII ს. და სხვ.). „ასურად" იწოდებიან ცნობილი ასურელი მოღვაწენი: ეფრემ ასური, ასური აპოლინარი და სხვ. „ასურნი" გვხვდება სხვა ხალხთა სახელწოდებათა გვერდით: „...ასურნი, ბერძენნი, ხაზარნი. ყოველთა ემგზობრებიან ქართველნი" („ქართლის ცხოვრება", IV) და მრავალი სხვა. ტერმინი „ასურელი" „ასურის" შესატყვისად პირველად ვახუშტი ბაგრატიონთან გვხვდება. შემდეგში ასეთი შენაცვლება ჩვეულებრივია ძველი ქართული „ასურისათვის": ასაკ ასურელი (ე. კეკელიძე), ასურელი მამები, ასურელი მოღვაწენი (ილია აბულაძე), ნესტორიანელი ასურელები (ივ. ჯავახიშვილი) და სხვ. ასურელები იყვნენ ის ბერები, რომლებმაც საქართველოში VI ს-ში პირველი მონასტრები დააარსეს (დავით გარეჯელი, შიო მღვიმელი, იოანე ზედაზნელი და სხვანი) და, შესაძლებელია, პირველი მოსახლენიც ასურელთაგან. უფრო გვიან, ეგების უკვე XVIII ს-ში ჩვენში სახლდებიან ასურელები, რომელთა ეპისკოპოსი ისაია ერეკლე II-ს საქართველოში დასახლების უფლებას თხოვდა და რომლებიც დღეს საქართველოში მცხოვრები ასურელების წინაპარნი არიან.

ამრიგად, ქართული ტრადიცია არ იცნობს ტერმინს „ასირიელი". ასე იხმარება რუსულად — „ассириец" და სწორედ ამის გავლენით მივიღეთ „ასირიელი", რომლითაც ხშირად ცვლიან ქართულ ტრადიციულ „ასურელს". და ეს მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში, ასევე ქართულ ენციკლოპედიაშიც მხოლოდ „ასურელი" და „ასურული" იხმარება. („თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა", თბილისი, 1968; „თანამედროვე ასურული ენის ქრესტომათია ლექსიკონითურთ (ასურულ-ქართული)", თბილისი, 1958 და 1980).

ქართული ენობრივი ტრადიცია „ასურელის" გვერდით, ბუნებრივია, იცნობს „ასურულ ენას, ასურულს" (ქართლის ცხოვრება, კარაბადინი, 1889 წელს გამოცემული ქართული ბიბლია და სხვ.). უფრო ადრე „ასურული ენისათვის" გვხვდება „ასურებრი", როგორც ეს ზემოთ აღინიშნა. ამდენად, ის, რაც ითქვა „ივრითის" შესახებ, მისი ქართულად ხმარების უსაფუძვლობაზე, შეიძლება გავრცელდეს „ასირიელსა" და „ასირიულ ენაზე".

და ბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთხელ მივმართოთ ქართულ საზოგადოებრიობას — ფაქიზად მოვეკიდოთ ჩვენს, სხვა კულტურულ ტრადიციებთან ერთად, ქართულ ენობრივ ტრადიციებსაც: ნუ დავესესხებით უცხოურ ლექსიკას იქ, სადაც ამის საჭიროება არ არის.

კონსტანტინე წერეთელი,
თსუ ებრაულ-არამეული ფილოლოგიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი.

დიდება შენდა, ღმერთო!

თუ ქაღალდი არ შემაკლდა...

ამ რამდენიმე დღის წინათ რესპუბლიკის პრესამ და ტელევიზიამ საზოგადოებრიობას აუწყა, რომ 13 მაისს 17 საათზე საქართველოს არაჩვეულებრივ რეკორდსმენთა (გინესის) კლუბის „ჯოკერის" ვიცე-პრეზიდენტი **ნარო კოლხელი** (ნარიმან რაშალაშვილი) კომპეტენტური ჟიურის თანდასწრებით, მიცემული თემის მიხედვით, ოთხი დღეღამის განმავლობაში დაწერდა 100-120 გვერდიან რომანს.

დათქმულ დროში (როგორც დამსწრეები ამბობენ, ცოტა უფრო ადრეც) ახალგაზრდა მწერალმა მართლაც დაწერა რომანი „გიგო" — დეტექტური ხასიათისა — რომელიც მხატვრული ღირსებებით დადებითად შეაფასა ჟიურიმ.

ნარო კოლხელი მისმა მეგობარმა და მენეჯერმა, მწერალმა სიმონ ჯაფარიძემ გამაცნო. გულითად ვსაუბრობთ:

— ნარო, ჟიურიმ თემა კი შემოგთავაზათ, მაგრამ ნაწარმოების სიუჟეტი ხომ ასე იოლად არ მოდის, დიდხანს დაგჭირდათ მაზე ფიქრი?

—13 მაისს 17 საათზე ჟიურიმ ჩართო საათი, მეც ჩავრთე ჩემი მაგნიტოფონი და კლასიკური მუსიკის ჰანგებს ქვეშ (იქვე ერთი კონიაკიც მედგა) გავიაზრე მთელი რომანი, ხოლო ღამის 3 საათზე დავიწყე წერა...

— გამოდის, რომ წერას სამ დღეში მორჩით...

— დიახ... უნდა გითხრათ, რომ ადრე მწერლებისა და ჟურნალისტებისაგან შემდგარი ჟიურის წინაშე 5 დღეში დავწერე 10 მოთხრობა (ისევე მოცემული თემების მიხედვით), რომლებიც დადებითად შეფასდა... ჩემს სპონსორთან — „საქართველოს სამეფო კომპანიასთან" პირობისამებრ, ერთი რომანი უნდა შევქმნა რომელიმე უცხო ქვეყანაში. ავირჩიე იტალია, სულ მალე უნდა გავემგზავრო იქ და უკვე სამ დღეში დავწერო ნაწარმოები იტალიურ თემაზე...

თუ მშვიდობა იქნა, ვაპირებ 50 დღეში დავწერო 100 მოთხრობა. მოფიქრებულიც მაქვს ციკლი: „იარა წუთისოფლისა, ანუ მძვინვარე აპოკალიფსი". ამ ციკლში გავაერთიანებ იმ 100 მოთხრობას, რომლის თემასაც მომცემს ჟიური...

— ნარო, როდის იგრძენით, რომ წერის გარეშე არ შეგეძლოთ ცხოვრება?

— ალბათ 18 წლიდან, როდესაც საბჭოთა არმიის რიგებში ვმსახურობდი, ვმსახურობდი ძალზე ცუდ პირობებში — ყაზახეთში... იქ დავიწყე წერა... მანამდელი პერიოდი კი ფიქრი და მზადება იყო... დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, ესეც თავისებური სკოლა იყო, თუმცა, ჩემი აზრით, ძირითადი სკოლა მაინც ცხოვრებაა...

— რა ცხოვრება გაიარეთ ახეთი ახალგაზრდა კაცმა?

—მის სიმძაფრეს მომენტებულად განვიცდი, ვაფიქსირებ ყველა მოვლენას და შემდეგ ჩემებურად ვხარშავ გონებაში... ამდენად, უკვე წერის პროცესი ჩემთვის გაცილებით ადვილია, თანაც ჩემი ლექსიკონი დაახლოებით 60 ათას სიტყვას შეიცავს, რომლებიც დაუბრკოლებლად შემიძლია გამოვიხმო გონებიდან...

— თუ არ ვცდები, „გინესის წიგნში" თქვენნაირი ფენომენი დაფიქსირებული არ უნდა იყოს...

— ამ რამდენიმე ხნის წინათ პრესაში წავიკითხე, რომ იტალიელმა მწერალმა ფრანჩესკო საველიო ალიონსომ ექვს დღეში დაწერა რომანი და მევიდა გინესის რეკორდების წიგნში. ამის შემდეგ გამიჩნდა სურვილი — მომეხსნა იტალიელი მწერლის რეკორდი...

— ამ ნაწარმოებებს კი ახვავებ ძმაო, მაგრამ გიქვეყნებთ ვინმე?

— პირობის თანახმად სპონსორმა იკისრა ვალდებულება ერთ თვეში გამოსცეს რომანი „გიგო" და ადრე 5 დღეში დაწერილი 10 მოთხრობა, ცოტა მოგვიანებით კი 4 რომანი ციკლიდან „ღმერთების სევდა" (ერთ-ერთი რომანი „ქანგისფერი ყვავილი" გაგრძელებებით დაიბეჭდა ლიტერატურულ გაზეთ „მესამე გზაში").

— ზემოთ კონიაკი ახსენეთ, წერის დროს ეს სასმელი აუცილებელია თქვენთვის?

— სტიმულს მაძლევს... სიგარეტსაც ბევრს ვეწევი იმ დროს... კლასიკური მუსიკა ხომ აუცილებელია, განსაკუთრებით იტალიური ოპერის „ვარსკვლავების" შესრულებით...

— ნარო, ცოლ-შვილი თუ გყავთ?

— ახალი დაქორწინებული ვარ, მეუღლე ფილოლოგია... რა დასამალია და ამ რეკორდისთვის ავდექი და სახლიდან გავიქეცი (ჯერჯერობით, ჩასიძებული ვარ). რამდენიმე დღე მარტოდმარტო გავატარე სოფელში, ახლობლებმა არაფერი იცოდნენ და მხოლოდ მაშინ გაიგეს ყოველივე, როდესაც ტელევიზიით ნახეს სიუჟეტი ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს დარბაზიდან (სადაც რომანს ვწერდი), მეცნენ სიდედრ-სიმამრი, სიხარულით აღარ იცოდნენ, რა ექნათ და ოჯახურ გარემოში აღნიშნეს თავიანთი „უცნაური" სიძის რეკორდსმენობა, სასმელი იქაც კონიაკი იყო...

— სიძე გყავსო, მაგათ უნდა თქვან. მაშ, წერე და წერე ძმაო, თუ საწერ-ქაღალდი გეყო...

ვილენ მარდალეიშვილი.

სურათზე: ნარო კოლხელი.

ჭადრაკი

სანდრო დგებუაძის აღზევება

„შევარდენის" დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის ფინიში უაღრესად მძაფრად წარიმართა. მთავარი ჯილდოების (ასეთი 20 იყო) ბედი დასკვნით, მეცხრე ტურის შეხვედრებში გადაწყდა.

პირველ პრიზს — 600 დოლარს რამდენიმე მაძიებელი ჰყავდა, მაგრამ ყველას აჯობა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დიპლომანტმა სანდრო დგებუაძემ. (მწვრთნელი თამაზ კიკიანი). მან მწვავე ბრძოლაში სძლია საქართველოს ჩემპიონს ხვიჩა სუპატაშვილს (ქუთაისი) და 7,5 ქულით პირველობა არავის დაუთმო. საინტერესოა, რომ ამ დღეს სანდროს 24 წელი შეუსრულდა. ნიჭიერი მოჭადრაკე ადრე საქართველოს ჩემპიონიც იყო, მაგრამ ამჟამინდელი გამარჯვება ყველაზე თვალსაჩინოა მის მოკრძალებულ სპორტულ ბიოგრაფიაში.

II-IV ადგილები გაიყვეს ქეთევან კახიანმა, გენადი ზაიჩიკმა და ჯამილ აღამალიევმა (აზერბაიჯანი) — 7-7, V-VI ადგილები — იგორ ეფიმოვმა, 15 წლის სერგო მოვსესიანმა — 6,5-6,5, VII-XIV ადგილები — ხვიჩა სუპატაშვილმა, ბუხუტი გურგენიძემ, კახა შალამბერიძემ, ზაზა ზოფერიამ, აშოთ ნადანიანმა (სომხეთი), 15 წლის თამაზ გელაშვილმა (რუსთავი), ალექსანდრე ბოკუჩავამ, 12 წლის გიორგი ბახტაძემ — 6-6, XV-XXVI ადგილები — მაია ჩიბურდანიძემ, ლაშა ჯანჯღავამ, გია ბაღათუროვმა, ნინო გურიელმა, ნანა ალექსანდრიამ, ნინო მელაშვილმა, 19 წლის ბექა კვარაცხელიამ, 13 წლის სოფიკო ტყეშელაშვილმა (ქუთაისი), დავით ლობჟანიძემ, 18 წლის ალექსანდრე ყაჩაშვილმა, 20 წლის რომან სიჭინავამ (სენაკი) და ვიგენ მირუმიანმა (სომხეთი) — 5,5-5,5. ამ მოჭადრაკეებს წილად ხვდა დანარჩენი 19 ჯილდო.

ტურნირმა გაამართლა იმედები. მასში მონაწილეობდა საქართველოს მოჭადრაკეთა ყველა თაობის წარმომადგენელი. ამასთან იგი იყო მასობრივი, სპორტულად დატვირთული და შინაარსობრივად მდიდარი. ასპარეზობამ წარმოაჩინა ბევრი ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭადრაკე, რომლებიც უკვე იმსახურებენ სპორტის ოსტატის წოდებას. ალბათ დადგა დრო, რომ ქართული სპორტის მესვეურებმა შემოიღონ ჭადრაკში ეროვნული ოსტატის წოდება, რაც ჩვენს მოჭადრაკეებს საერთაშორისო სარბიელზე გასვლის სტიმულს მისცემს.

„შევარდენი-93" მრავალმხრივ იყო სასარგებლო. უპირველეს ყოვლისა მათთვის, ვისაც მალე უწევს მონაწილეობა ფიდეს ოფიციალურ ტურნირებში. ასე მაგალითად, ნორჩ მოჭადრაკეებს თანატოლთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში (ივნისი-ივლისი, ჩეხეთი), ხოლო მაია ჩიბურდანიძეს, ნონა გაფრინდაშვილს, ნინო გურიელს, ნინო ხურციძეს და გია ბაღათუროვს მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირებში (ქალთა ასპარეზობა გაიმართება აგვისტოში ჯაკარტაში, ინდონეზია, ვაჟთა — ივლისში ბილში, შვეიცარია).

ტურნირის საზეიმო დახურვაზე, რომელიც ლამაზად მოეწყო, მონაწილეთა სახელით ნანა ალექსანდრიამ მადლიერების სიტყვებით აღნიშნა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" მესვეურთა მამულიშვილური ზრუნვა ქართული ჭადრაკის მერმისზე. მართლაც, რამხელა ძალისხმევა იყო საჭირო, რომ ამჟამად განსაცდელში მყოფ საქართველოში გამართულიყო ეს შესანიშნავი ტურნირი.

იმედია, „შევარდენის" ტურნირის ტრადიცია კვლავაც გაგრძელდება.

თენგიზ გიორგაძე,
ტურნირის მთავარი მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი.

მეგობრის ხსოვნას



გიორგიც წავიდა...

სამოცდაათი წლისამ დაიბინადრა ზეციურ საქართველოში...

სიკვდილთან შეთამაშებულებს, უცრემლო ტირილს შეჩვეულებს, ამდენი ვაებით გულგაყინულებს, აღარ გვეგონა, თუ აგრერიგად კიდევ დაგვწყვეტდა გულს რომელიმე მეგობრისა და თანამოკალმის გარდაცვალება.

რომ გავიცნობიერეთ, აღარც გაგვკვირვებია გიორგი ნოდიას უეცარი სიკვდილი: რაც ამ ბოლო დროს მისმა მშობელმა კუთხემ სამეგრელომ ტრაგიკული ამბები გადაიტანა (თუკი გადაიტანა), შეუძლებელი იყო ყოველივე ამას მის პიროვნებაზე უარყოფითად არ ემოქმედა, გული არ ჩაეწყვიტა...

თითქმის მთელი მისი შეგნებული ცხოვრება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ჟურნალისტურ მოღვაწეობაში გაილია: მუშაობდა გაზეთ „გამარჯვებაში", 1958 წლიდან კი გიორგი ნოდია ჩვენი გაზეთის ღირსეული დესპანი — საკუთარი კორესპონდენტი იყო სამეგრელოში. პასუხისმგებლობის გრძნობა, კომპეტენტურობა, თემის ღრმა ცოდნა, ავტორისეული კეთილსინდისიერება გამოარჩევდა მის მასალებს, და აკი ამიტომაც ჰქონდა მოპოვებული დიდი ავტორიტეტი ჩვენი გაზეთის მილიონობით მკითხველთა შორის. იგი, შეიძლება ითქვას, ბოლო ათწლეულების ჭეშმარიტი მემატიანეა სამეგრელოსი — საქართველოს ამ ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხისა.

და მაინც მთლიანი პიროვნება — გიორგი ნოდია 1981 წლიდან ჩვენთან სიახლოვეს, თბილისში, რედაქციის აპარატში გადმოსვლის შემდეგ გავიცანით.

იგი ზედმიწევნით იყო მატარებელი კოლხი კაცის ღირსეული თვისებებისა — გულუხვობის, სიამაყის, პირსა და ლხინში თანადგომის, ინტელიგენტურობისა და შინაგანი სიკისკასისა... ჩვენ მისგან „ბატონოსა" და „ბიძიკოს" მეტი სიტყვა არ გვახსოვს, თუმცა, ზოგჯერ, უსამართლობის შემყურეს, მეგრული სიფიცხეც შემოუნთებოდა...

სიცოცხლის ბოლომდე იგი ჩვენი გაზეთის უდიდესი პატრიოტი დარჩა. წავიდა ვალმოხდილი თავისი ქვეყნის, ხალხის, ოჯახის წინაშე...

იგი მძლავრ, ერთიან საქართველოზე დარდსა და ოცნებაში გარდაიცვალა... მის მომავალს ასრულებოდეს ეს ოცნება, ნათელში ამყოფოს მამაზეციერმა!...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის კოლექტივი.

განცხადება

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის პენსიაზე გასულ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც 1992 წლის 1 იანვრიდან მოხვდნენ შემცირებაში და რეგისტრირებული არიან როგორც უმუშევრები — გთხოვთ ერთი კვირის ვადაში გამოცხადდნენ ფაბრიკაში, ამ უკანასკნელის აქციონირებასთან დაკავშირებით თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად.

პრივატიზაციის სამუშაო კომისია

ფირმა «ბასპა»

1. იყიდის ამერიკულ დოლარს უნაღდო ანგარიშსწორებით 4450 მანეთად.

2. აწარმოებს ნაღდ მანეთებში უნაღდო მანეთების გადარიცხვას კოეფიციენტით 3.3.

3. აწარმოებს რუსეთის ფედერაციიდან საქართველოში გადარიცხვებს კოეფიციენტით 3.3.

4. იყიდის ამერიკულ დოლარს ნაღდი ანგარიშსწორებით კუპონებზე კურსი ყოველდღე იცვლება.

ჩვენი მისამართია: კოსტავას 69 ა

ტელეფონი: 98-63-10.

თბილისის მენეჯერთა სკოლასთან არსებული
სასწავლო-საკონსულტაციო
ფირმა „ამბა"



გიწვევთ ინფორმატიკის კურსის შესასწავლად. ერთთვიანი კურსის გავლის შემდეგ თქვენ შეძლებთ რამდენიმე სამომხმარებლო პროგრამით სარგებლობას და კომპიუტერზე ბეჭვდას. სწავლა დაიწყება 1 ივნისს.

მეცადინეობები ჩატარდება კვირაში სამჯერ, დღის მეორე ნახევარში.

დაგვიკავშირდით ტელეფონით 39-27-62
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 40, ოთახი 610
თბილისის მენეჯერთა სკოლა
სასწავლო-საკონსულტაციო ფირმა "ამბა"

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ცენტრი კონცერნ „საქკურორტთან" ერთად აცხადებს მიღებას რეკრეაციის, კურორტებისა და უცხოური ტურიზმის ეკონომიკისა და მართვის სპეციალობაზე.

საბუთები მიიღება 25 ივნისამდე.
გასაუბრება-ჩარიცხვები ჩატარდება 1 ივლისიდან.
მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

[illegible] სტაჟირება ვენაში.

ჩვ. მისამართი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული, ოთახი 1105. ბიზნესის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ცენტრი.
ტელეფონები: 30-01-97, 30-40-78.
ან
კონცერნი „საქკურორტი", გუდიაშვილის ქ. № 8, 98-24-88, 98-18-93.

ჩვენი ინტერვიუ

ესპანეთი სხვა სიყვარულით იზიდავს ქართველ კაცს

თბილისში დაარსდა სერვანტესის საზოგადოება

ჩვენს დღევანდელ მშფოთვარე ყოფაში, როცა იმედს ხშირად სასოწარკვეთა ჰკრავს, ხანდახან მაინც გამოკრთება ხოლმე რაღაც სხივი, რომელიც გვახსენებს, რომ ცხოვრება მარტო უფეხო სიძნელეებთან ჭიდილი როდია, რომ არსებობს მარადიული ღირებულებანიც.

ეს პატარა შესავალი იმისთვის დაგვჭირდა, რომ გაგვცნოთ: თბილისში დაარსდა სერვანტესის საზოგადოება. მისი საპატიო თავმჯდომარეა ბატონი ბაჩანა ბრეგვაძე, საზოგადოების შექმნის ინიციატორი კი გახლავთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული კულტურის ისტორიის კათედრის თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი შადიმან ბიწაძე.

— როგორ გაჩნდა სერვანტესის საზოგადოების დაარსების იდეა და რა ამოცანებს ისახავს იგი? — ჰკითხა ჩვენმა კორესპონდენტმა ბატონ შადიმანს.

— იდეა ამ რამდენიმე წლის წინათ ესპანელებმა შემოგვთავაზეს, მაგრამ გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, მისი განხორციელება არ მოხერხდა. საზოგადოების ძირითადი ამოცანები კი მოკლედ ასეთი გახლავთ: პოპულარიზაცია გაუწიოს ესპანურ ენას, ესპანეთისა და ესპანურენოვანი ქვეყნების თვითმყოფად კულტურას, ისტორიას, საბოლოოდ კი — ყოფისა და ცხოვრების ყველა სფეროს.

— უკანასკნელ ხანს მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ესპანურენოვანი კულტურით დაინტერესება, რაც ალბათ, ლათინური ამერიკის მწერლობის თვალსაჩინო მიღწევებმაც განაპირობა. მაგრამ საქართველოში ამ ინტერესს სხვა საბაბიც აქვს... თქვენ უნივერსიტეტში ესპანეთის ისტორიისა და კულტურის კურსს კითხულობთ. გვიამბეთ თქვენს კათედრაზე, თქვენს სტუდენტებზე. გაგებული გვაქვს, რომ თქვენ მათთან ჩინებული ურთიერთობა გაქვთ.

— დიახ, ჩვენ მეგობრები ვართ და მჯერა, რომ ჩვენი ერთობლივი მუშაობა არ იქნება უნაყოფო. ყველა სტუდენტმა სამუშაო თემა საკუთარი ინტერესების მიხედვით შეარჩია. უკლებლივ ყველა სარგებლობს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკით. ნაყოფიერი კვლევისათვის ყოველგვარი პირობა ჰქმნილი და ეს, უპირველეს ყოვლისა, კათედრის გამგის, ბატონ გურამ ლორთქიფანიძის დამსახურებაა. ჟურნალებს არც ისტორიის ფაკულტეტის დეკანი ბატონი კარლო მეშველიანი და დეკანატის მთელი შემადგენლობა გვაკლებს. ისინი ხალისით ეხმარებიან სწავლების პროცესში სიახლეების დანერგვას და ამან არ შეიძლება უახლოეს ხანებში შედეგი არ მოგვცეს.

მიუხედავად ჩვენი მეგობრული ურთიერთობისა, მე სტუდენტებისაგან ერთ რამეს კატეგორიულად მოვითხოვ: არავითარი პოლიტიკა უნივერსიტეტის კედლებში! უნივერსიტეტი, უპირველეს ყოვლისა, სასწავლო დაწესებულებაა!

ახლა რაც შეეხება კათედრას. იგი სულ რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა და საკმაოდ ანგარიშგასაწევ ძალებს მოუყარა თავი. აქ მომზადდა და მალე გამოიცემა „ქართული კულტურის ისტორიის" სახელმძღვანელო. კათედრასთან არის ქართული კულტურის კვლევის ლაბორატორია, რომელსაც პროფესორი ზ. ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობს. ახლახან სასიხარულო ცნობა მივიღეთ პოლონეთიდან, სადაც სტაჟირებისთვის ორი წლით არის მივლინებული შესანიშნავი ახალგაზრდა, ასპირანტი დავით ყოლბაია. მან პოლონურ ენაზე გამოსცა ქართველოლოგიური ჟურნალი „Pro Gruzia", უკვე მზადდება ჟურნალის მესამე ნომერი.

კათედრის ინიციატივით დაარსდა ქართულ-კავკასიური ისტორიის, კულტურისა და ეთნოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტი (დირექტორი — მალხაზ დათუკიშვილი). მას შესანიშნავი სამსართულიანი შენობა აქვს ქალაქის მყუდრო უბანში საკუთარი სტამბით, კავშირგაბმულობის თანამედროვე ტექნიკით (ფაქსი, ტელექსი, ტელეტაიპი). ენთუზიასტი თანამშრომლების ძალისხმევით (საგანგებოდ მინდა აღვნიშნო კათედრის წევრებს შორის კეთილშობილური, უაღრესად კოლეგიალური ურთიერთობა) ინსტიტუტი, ეჭვგარეშეა, მძლავრ სამეცნიერო ცენტრად გადაიქცევა.

— ბოლო დროს ესპანეთ-საქართველოს ურთიერთობაში სახარბიელო ძვრებია. ამას მოწმობს ესპანეთის სრულუფლებიანი ელჩის ბატონ ეუხენიო ბრეგოლატ ობიოლსის ჩამოსვლა საქართველოში, შემდეგ კი ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ალექსანდრე ჩიკვაიძის ვიზიტი ესპანეთში და ამ ვიზიტის შედეგები (თუნდაც ის, რომ ამიერიდან ყოველწლიურად 8 ახალგაზრდა გაემგზავრება ესპანეთს, დიპლომატიურ აკადემიაში სასწავლებლად). როგორ ფიქრობთ, რა როლს შეასრულებს სერვანტესის საზოგადოება ესპანეთთან ურთიერთობაში?

— უნდა გითხრათ, რომ სერვანტესის საზოგადოებებს (ისინი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს) ესპანეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც კურირებს ესპანეთის დედოფალი სოფია. ეს თავისთავად საგულისხმო ფაქტია. ჩვენ განზრახული გვაქვს დავუკავშირდეთ ამ საზოგადოებებს, ახლა კონტაქტებს ვამყარებთ ბულგარეთის სერვანტესის საზოგადოებასთან, მომავალში კი ურთიერთთანამშრომლობის არეალი თანდათან გაფართოვდება. სხვათა შორის, სერვანტესის საზოგადოების საინიციატივო ჯგუფები უკვე ბათუმსა და ხაშურშიც შეიქმნა. მალე შემოგვიერთდებიან სხვა ქალაქებიდანაც.

— ახლა ის გვითხარით — ვინ გეხმარებათ. დაუხმარებლად ხომ დღეს ვერანაირი საზოგადოება ვერ იარსებებს.

— უპირველეს ყოვლისა, ლიტერატორთა რესპუბლიკური სახლი (თავმჯდომარე — ბატონი სოსო მაჰარაშვილი). მისი მხარდაჭერა რომ არა, ძალიან გაგვიჭირდებოდა. კიდევ — ესპანურ-ბასკური კლუბი „იბერიკა" ბატონ დავით ცქიტიშვილის თაოსნობით. იმედია, მათ სხვებიც მიემატებიან: ესპანეთი ხომ სულ სხვა ინტერესითა და სიყვარულით იზიდავს ქართველი კაცის გულს!

ინტერვიუ ჩაიწერა
მაკა ქორიძემ.



ფეხბურთის მოყვარულებს გთავაზობთ მეორე ეროვნული ჩემპიონატის 32-ე ტურის იქასი მატჩის შედეგს: „კოლხეთი-1913"-„ბათუმი"— 4:3, „გურია"-„დილა" — 3:0, „ცხუმი"-„სამგურალი" — 1:3, „იბერია"-„მრეტები" — 6:1, „ალაზანი"-„სამტრედია" — 3:0 (გამოუცხადებლობა), „გორდა"-„ტორპედო" — 3:1.

• • •

გაიმართა ფეხბურთელთა 1994 წლის მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ორი შესარჩევი შეხვედრა ევროპის ჯგუფებში. IV ჯგუფი. ბელგია-ფარერის კუნძულები — 4:0. V ჯგუფი. რუსეთი-საბერძნეთი — 1:1.

• • •

თბილისის სპორტის სასახლეში მიმდინარეობს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელშიც რესპუბლიკის 8 საუკეთესო კლუბი მონაწილეობს.

სტარტზე პირველი გამარჯვებები მოიპოვეს ასპარეზობის ინიციატორის — სპორტსაზოგადოება „ერქანის" (თავმჯდომარე გრიგოლ დარჩიაშვილი) მეორე გუნდმა, „ხომლმა" და „ვისტამ".

ფინალური მატჩი ხვალ 12 საათზე დაიწყება.

უჩვენებს თბილისი

სამშაბათი
25 მაისი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **გამარჯობა საქართველო!** — საინფორმაციო შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანბა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.35 — დაბრუნება — სამსონ ფირცხალავა. 18.55 — განცხადებები. 19.00 — ადამიანი და კანონი — სატელევიზიო პროგრამა. 19.30 — ჩვენ. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — ანიდან ჰაემდე. 21.30 — საფეხბურთო მიმოხილვა. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ვიდეო... ვიდეო... 23.45 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ოთხშაბათი
26 მაისი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე.

10.00 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 10.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 10.20 — რესპუბლიკური სახლის მოსწავლეთა კონცერტი. 11.15 — საკვირაო გამოფენა. 11.20 — ბასტი-ბუბუ (მოსკოვიდან). 11.50 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 11.55 — საკურთაო გამოფენა. 12.00 — ირაო. 12.30 — ქართული მუსიკა 1918-1921 წლებში. 13.35 — პრობლემები. 14.05 — სათავეებთან. 15.35 — მოგზაურობა ტაო-კლარჯეთში. 16.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 16.15 — ტელეკომპანია „ოსტანკინო" წარმოადგენს. საქართველოს ტელევიზიის პროგრამა. იძღვნება ეროვნულ დღესასწაულს — საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს. 18.00 — ფეხბურთში საქართველოს ეროვნული თასის გათამაშების ფინალი. ვიდეოჩანაწერი. 19.40 — მერაბ კოსტავა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.35 — ეთერში შემოქმედებითი გაერთიანება „კავკასია". 22.05 — ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის რეპორტაჟი „მილანი" — „მარსელი". შესვენებისას — **ქვეშის საათი**. 23.55 — „თავისუფლება" — საესტრადო კონცერტი.

ხუთშაბათი
27 მაისი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 — **გამარჯობა, საქართველო!** — საინფორმაციო-შემეცნებითი პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.45 — ანბა — ტელემარკეტინგი. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — მხატვრული ფილმი. 18.40 — ქალაქური ჰანგები. 19.00 — განცხადებები. 19.05 — რამპა. 19.10 — „27" სატელევიზიო პროგრამა. 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — წრე. 21.40 — „გადი-გამოდი გუთანო..." 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — მრავალსახეობა ეკრანისა. 23.35 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა. 23.50 — მუსიკალური ესტაფეტა.

პარასკევი
28 მაისი

7.25 — ბასტი-ბუბუს აერობიკა. 7.30 **ალიონი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 13.00 — **ნაშუადღევი** — საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა. 17.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 17.15 — კინოპროგრამა. 18.10 — უკმარისობა. რეპორტაჟი ანდრიაშვილი. 18.45 — განცხადებები. 18.50 — ისევ ელექტროენერგიის დაზოგვის პროგრამაზე. 19.10 — ანბა — ტელემარკეტინგი. 19.00 — ჩვენი პრემიერა — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მკურნალი ასკურავა". 19.55 — რეკლამა. 20.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 20.40 — პოლიტიკა. 21.20 — მსოფლიო ჩემპიონატზე ტამპერეში. 22.00 — **მაცნე** — საინფორმაციო პროგრამა. 22.15 — ქართული კინოს ვარსკვლავები. სესილია თაყაიშვილი. 23.35 — „ვიდ-სერფინგი". 23.50 — **ქვეშის საათი** — საინფორმაციო პროგრამა.

ორგანიზაცია

1. სამუშაოდ იწვევს 25-40 წლის ასაკის ენერგიულ, ინციატივიან და კვალიფიციურ ეკონომისტებს, ფინანსისტებს, რომელთაც შეუძლიათ იმუშაონ ფასიან ქაღალდებზე და სავალუტო ოპერაციებზე.

2. იჯარით აიღებს ან შეისყიდის შენობას ქალაქის ცენტრში ოფისისათვის.

3. დაგეხმარებათ რუსეთიდან თანხების გადმორიცხვაში, აგრეთვე განიხილავს კომერციული წინადადებების დაფინანსებასა და რეალიზაციას.

საკონტაქტო ტელეფონი: 37-33-42, 37-93-49.

10 ივნისამდე
შეისყიდით კორპორაცია „ნიკოიის" აქციებს 2500 რუსულ მანეთად ან 3500 კუპონად

„ნიკოიის" ოფიციალური დილერი საქართველოში ერთობლივი საწარმო „შინი-ინვესტი"
ალმაშენებლის 89/24 (მეტრო მარჯანიშვილთან) მე-3 კორპუსი მე-6 სართული
ტ.95-31-68

გავაკეთებთ თქვენი თანხების კონვერტაციას რუსეთში

ლამაზი საფირმო სტილი - ლამაზი საქმის საწინდარია!

თუ აქტიურ საქმიანობას ეწევით

გჭირდებათ სავიზიტო ბარათი და პირადობის მოწმობა - დაგიბეჭდავთ ერთ დღეში

მოწმობისათვის გჭირდებათ ფერადი ფოტოსურათი - 10 წუთში მზად იქნება;

რათა მოწმობა არ გაფუჭდეს საჭიროა მისი დაცვა - პლასტიკში ჩასმა - 10 წუთში გამზადებულს მიიღებთ;

გჭირდებათ წერილისათვის ტიტულიანი ფურცელი - მეორე დღეს ჩაგაბარებთ;

წერილის ჩასადებად კონვერტიც დაგჭირდებათ - სულ ერთ კვირას დაიცდით.

ასე სწრაფად საფირმო სტილი მხოლოდ სარეკლამო სააგენტო „მი-მი-ნო"-ში მზადდება

მობრძანდით: ლესელიძის ქ., № 20
ან დარეკეთ: 98-48-27, 98-60-17

მთავარი რედაქტორი **ზურაბ გოგიაშვილი.**

მისამართი, 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარიულის 60. ტელეფონი — 34-73-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0468.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА